# საერთო გაზეთი

№38 (630)
ოთხშაბათი
20 ოქტომბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

















# ჯალათი ციხეში!

## არა ნაცებს! არა ბოროტებას!

## რედაქტორის სვეტი



ნაციონალებო, 14 ოქტომბერს, როცა მთელი საქართველო ნანგრევებქვეშ მოყოლილ ანგელოზებს დასტიროდა, თქვენ ცეკვავდით და მღეროდით, ისე, როგორც ცეკვავდით და მღეროდით 2008 წლის 12 აგვისტოს, მაშინ, როცა ბრძოლის ველზე ქართველი გმირი ბიჭების დაუმარხავი ცხედრები ეყარა.

სიკვდილის მოციქულები ხართ თქვენ, ჯოჯოხეთიდან გადმოსხმული დესანტი ხართ, საქართველოში ჯოჯოხეთის ფილიალი რომ გახსენით და თქვენი მმართველობის პერიოდში ყოველდღე სისხლიან სპექტაკლებს რომ დგამდით.

თქვენ ცეკვავდით და მღეროდით მაშინაც, როცა ქუჩებში უდანაშაულო ადამიანებს ხვრეტდნენ, ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, როცა მორგები გვამებით იყო გადავსებული.

2012 წლიდან შვიდი არჩევნები წააგეთ და ახლა, 30 ოქტომბერს, მერვესაც რომ წააგებთ, გამოვარდებით ძველებურად ქუჩაში და ისევ დაიწყებთ ყვირილს, გაგვიყალბეს, თორემ ჩვენ ვიგებდითო.

არც გაბედოთ გაყალბებაზე კრინტის დაძვრა, არც გაბედოთ ქუჩაში გამოსვლა, თორემ, რაც თქვენ ხართ, ხუთი იმდენი გამოვა და გაჩვენებთ, ვინ რა გააყალბა.

(გონივრული ეჭვი მაქვს, „ქართული ოცნება“ კი არა, თქვენ აყალბებთ არჩევნებს, ოღონდ, ვერ მივხვდი, როგორ ახერხებთ ამას).

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნებისკენ“ რომ იშვერთ ხელს, ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კი არა, ქართველი ხალხია ის ძალა, თქვენ რომ გიპირისპირდებათ, ქართველი ხალხი კი გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენ გგონიათ.

30 ოქტომბერს თქვენ პირწმინდად წააგებთ ყველგან, სადაც II ტურები უნდა გაიმართოს და წააგებთ იმიტომ კი არა, რომ ვინმე რაიმეს გააყალბებს, არამედ იმიტომ, რომ ის ქართველები მოვლენ არჩევნებზე, რომლებიც არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, საქართველოს „ნაცმოძრაობას“ არ დაუთმობენ.

**ნაცობა სირცხვილია!**
**„ნაცმოძრაობა“ უნდა დასრულდეს!**




# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მიმართვა

მწერალთა ეროვნული აკადემია მიმართავს შემოქმედებით კავშირებს: მწერალთა კავშირს, მხატვართა კავშირს, ქორეოგრაფთა კავშირს, თეატრალურ საზოგადოებას, კინოაკადემიას, სამეცნიერო ცენტრებს: მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სოფლის მეურნეობის აკადემიას, ზოოვეტერინარულ აკადემიას (ინსტიტუტს) და სხვ. უნივერსიტეტებს: თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, გორის, ახალციხის (სამცხე-ჯავახეთის) და სხვ., ეროვნულ-საზოგადოებრივ პოლიტიკურ გაერთიანებებს,

გამოხატონ თავიანთი პოზიცია საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარების გამო. იმ ხიფათზე, რომელიც საქართველოს ემუქრება ნაციონალ-ფაშისტურ-ლიბერასტული ძალების მხრიდან სააკაშვილის რეჟიმის აღდგინების და გაცოცხლების მცდელობის კონტექსტში.



სახელმწიფოს შიგნით გააქტიურდნენ არაეროვნული, არაკონსტრუქციული, საშიში რეაქციული ძალები: სექტები, პარტიები, არასამთავრობო კლანები (რომლებიც, ფაქტობრივად, სახელმწიფოში სახელმწიფოდ იქცნენ) ქართული ეკლესიის, მორალისა და ტრადიციების უარმყოფელი კლანები, ქართული ისტორიული და თანამედროვე მწერლობის მოძულე მტრები...

გარედან აქტიურობენ მათი მხარდამჭერი სოროსულ-მასონური, ევროპეიდული კლანები, რომლებიც ღიად და პირდაპირ ერევიან სახელმწიფოს საქმეებში, სამართლის და სასამართლოს პროცედურებში.

ვითარება რთულია, არ ჩანს, არ იგრძნობა ეროვნული ძალებისა და ენერგიების ერთიანობა, მაორგანიზებელი ძალა, გამქრალია ელიტური, აკადემიური, კულტურული ფენის აქტივობა.

მთლიანად შეზღუდულია შემოქმედებითი ინტელიგენციის სამოქმედო, საარსებო და შემოქმედებითი არეალი!

მწერალთა ეროვნული აკადემია მოგიწოდებთ: გამოხატეთ პოზიცია შექმნილ ვითარებაზე, გამოუცხადეთ სოლიდარობა სააკაშვილის მიერ სასტიკად დასჯილ საზოგადოებას, რომლებიც პროტესტს აცხადებენ სააკაშვილის შეწყალებაზე და მოითხოვენ ნაციონალ-ფაშისტური პარტიის სექტის აკრძალვას.

კატეგორიულად უარი უნდა ითქვას და გამოირიცხოს ნაციონალების დაბრუნების შესაძლებლობა რაიმე ფორმით, ეს არის ბნელი ძალა, რომელიც ზიანს აყენებს ერისა და სახელმწიფოს ინტერესს, ყალბი ინფორმაციით კვებავს მსოფლიოს. უნდა ჩამოყალიბდეს (შეიქმნას) მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ალიანსი (ფორუმი) ერისა და მისი კულტურის დამცავი საზოგადოება (კინოს, თეატრის, მწერლების მხატვრების, კომპოზიტორების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების, ეზოთერიკოსების საკოორდინაციო ჯგუფის მონაწილეობით).

დროა, შემოქმედებითი და სამეცნიერო ელიტა გააქტიურდეს და დაიწყოს აქტიური მოქმედება ეროვნული ღირებულებების დაცვისთვის, რისთვისაც აუცილებელია, შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი ორგანიზაციული სახის პირველი შეკრებისთვის.

გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ!

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**
595 57 99 43

**P.S. ამ განცხადების ხელმომწერებში არ იგულისხმებიან:**

**არც ალიმონაკი, არც ელდინო საღარაძე, არც ხარხელაური, არც ღებელი, არც „წიწოლა“ და არც სხვა რომელიმე „იმათგანი“...**

# თამაზ წივწივაძის პრემია

**დაარსდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თამაზ წივწივაძის ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს მრავალმხრივ შემოქმედებით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას.**

**ფონდმა დააარსა „თამაზ წივწივაძის“ პრემია“, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**

**წლის საუკეთესო კრიტიკული წერილი (მთავარი პრემია — 1500 ლარი);**

**წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;**

**წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;**

**წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები — ლექსი, მოთხრობა, ილუსტრაცია (თითოეულისთვის — 1000 ლარი).**

**გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური.**

**პრემიები გაიცემა 2022 წლის იანვარში.**

**მასალები პრემიის მოსაპოვებლად შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ავტორებმა და კერძო პირებმა, ისე ორგანიზაციებმა — მისამართზე:**

**თბილისი, ზანდუკელის ქ. #1, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია;**

**ელექტრონული ვერსიებისთვის:**
**litsaqartveloyahoo.com**

**(წარმოდგენილი ნაწარმოებები გამოქვეყნებული უნდა იყოს 2021 წელს ბეჭდვით ან ელექტრონულ გამოცემებში).**

მასალები მიიღება 2021 წლის 22 დეკემბრამდე.

# ქვეყნის ნომერ პირველი ავაზაკი და კერპთაყვანისმცემლები

## „სეპარატისტული რესპუბლიკა „ენმ-ი“ უნდა გაუქმდეს!



14 ოქტომბერი.

თავისუფლების მოედანი.

მიტინგი თავისუფლების მოედანზე დევიზით: თავისუფლება მიშას!

მიტინგიო, კი ვთქვით, მაგრამ ეს არ იყო მიტინგი — ეს იყო საზოგადოების ერთი ნაწილის სრული დეგენერატიზაციის მკაფიო გამოხატულება.

გაირკვა, რომ სულ ტყუილად გვიწერია, სულ ტყუილად გვილაპარაკია ამდენი, სულ ტყუილად გვიკეთებია ამდენი სატელევიზიო გადაცემა — ამ ადამიანებს მაინც ვერაფერი გაუგიათ, ვერაფერს მიმხვდარან — ისინი ზუსტად ისეთივენი არიან, როგორებიც იყვნენ ცხრა წლის თუ თხუთმეტი წლის წინათ.

არჩევნებია ახლა და დიდი დებატები მიმდინარეობს, ვინ რამდენი პროცენტი აიღო, ვინ რამდენ ადგილს დაიკავებს საკრებულოში, რომელი პარტიის წარმომადგენლები გახდებიან მერები თუ გამგებლები.

ამაზე ვწუხვართ, ამაზე ვდარდობთ, ამაზე ვკამათობთ და ვბჭობთ, ეს გვგონია მთავარი იმ დროს, როცა ქვეყანას დიდი უბედურება დასტყდომია თავს — მისი მოსახლეობის დაახლოებით 15-20 პროცენტი შეშლილობის ზღვარზეა, ფსიქიატრების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არაადეკვატურია.

არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, არავის დაკნინება და დამცირება არ მსურს, უბრალოდ, სინამდვილეს მინდა თვალი გავუსწოროთ ყველამ, ფარისევლურ მანჭვაგრეხვას მოვეშვათ და იმ მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით, თავისი ნამდვილი სახელი დავარქვათ — იქნებ, ასე უფრო გამოვძებნოთ გამოსავალი ამ საგანგაშო სიტუაციიდან.

### პატიმარი #1 — დამნაშავე ნომერი პირველი

მიხეილ სააკაშვილი — პატიმარი №1 — ეს ტელეკომპანია „მთავარის“ მიერ შემოგდებული ტერმინია, რითაც იმის ხაზგასმა სურთ, რომ დღეს სააკაშვილი ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პატიმარია ქვეყანაში.

თუმცა „მთავარი“ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს ნომერპირველი პატიმარი ნომერპირველი დამნაშავეა, რომელმაც ქვეყანაში დანაშაულებრივი სისტემა, წმინდა წყლის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი შექმნა.

მართალია, „ქართული ოცნება“ ხშირად ამბობს, რომ დანაშაულებრივი სისტემისა და ამ სასტიკი რეჟიმის მთავარი შემოქმედი და ავტორი მიხეილ სააკაშვილია, მაგრამ „ქართული ოცნება“ ამას ამბობს ზეპირსიტყვიერად, ხოლო იმ სასამართლო განაჩენში, რომლის საფუძველზეც სააკაშვილი ციხეში ზის, მსგავსი არაფერი წერია.

დანაშაულებათა ჩამონათვალი, რომლებზეც სასამართლო განაჩენია დამდგარი, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია ბოროტებათაA იმ პანორამული სურათისა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იქნა ჩადენილი.

ამ განაჩენის მიხედვით, სააკაშვილი მხოლოდ ამ ცალკეულ ეპიზოდებშია დამნაშავე, ხოლო იმ უსასტიკეს და უმძიმეს დანაშაულებში, რომლებიც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მოხდა, სააკაშვილი პასუხისმგებელი არ ყოფილა თურმე.

— დიახაცო, — ამტკიცებენ სიხარულისგან აჭყლოპინებული ნაცები, — ვინც დამნაშავე იყო, დაიჭირეს, გაასამართლეს, ზოგმა სასჯელი უკვე მოიხადა, ზოგი ახლაც ციხეში ზის, სააკაშვილი კი უდანაშაულოა და ეს საქართველოს დამფუძნებელი და დამაარსებელი კაცი, დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონო.

არადა, ელემენტარული სამართლებრივი ლოგიკით, ყველა ამ დანაშ აულის უკან სააკაშვილი იდგა, ის არის მთავარი ინიციატორი და მთავარი წამქეზებელი ამ შემზარავი დანაშაულების კასკადისა, რადგან ის არის იმ სისტემის ავტორი, რომელმაც სისხლის ტბები დააყენა საქართველოში.

სააკაშვილს, შეიძლება, პირადად არავინ დაუხვრეტია, სამაგიეროდ, ხვრეტდა სისტემა, რომელიც მან შექმნა, უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში ყრიდა სისტემა, რომელიც მან შექმნა, ადამიანებს ძარცვავდა, აყაჩაღებდა სისტემა, რომელიც მან შექმნა.

სისტემა, სააკაშვილის პირმშო, მთლიანად მის ნებას და კონტროლს დაქვემდებარებული, სისტემა, მისი პერსონალური ჯალათი, მისი პირადი ინკვიზიტორი, ცეცხლით და მახვილით უსწორდებოდა საქართველოს.

მთავარი დამკვეთი იყო სააკაშვილი, სხვები მის შეკვეთებს ასრულებდნენ.

მეტსაც გეტყვით, სააკაშვილი რომ არა, აი, ეს შემსრულებლები, რომლებიც დღემდე გვაოცებენ მათ მიერ ჩადენილი სისასტიკით, არაადამიანურობით, სადიზმით, სხვა შემთხვევაში შეიძლება არაფრით გამორჩეული ჩვეულებრივი მოქალაქეები ყოფილიყვნენ.

სააკაშვილი რომ არა, ვანო მერაბიშვილი, ალბათ, ერთი რიგითი აგრონომი იქნებოდა, ზურაბ ადეიშვილი შეიძლებოდა კარგი ლექტორი და მეცნიერი დამდგარიყო, გივია თარგამაძე იჟურნალისტებდა, ახალაიები იურისპრუდენციას გაჰყვებოდნენ, მეგის ქარდავა თხილის პლანტაციას მოაშენებდა, გიგი უგულავა ბიზნესს მოჰკიდებდა ხელს და ა. შ. და ა. შ.

მიხეილ სააკაშვილმა აქცია ეს ადამიანები ბოროტმოქმედებად, მკვლელებად, გამომძალველებად, ყაჩაღებად.

ნახევარი სიმართლე ტყუილზე უარესიაო, ნათქვამია.

ნახევარი სიმართლე, უფრო ზუსტად, ამ ნახევრის საპირწონეც კი არ არის ის სასჯელი, რაც მიხეილ სააკაშვილს აქვს მისჯილი.

სწორედ ამან გაუჩინა მის მხარდამჭერებს იმედი, რომ დასაშვებად მიაჩნიათ, სააკაშვილი საერთოდ გათავისუფლდეს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან.

კაცმა რომ თქვას, რატომაც არა — თუ ამდენი უმძიმესი დანაშაული ჩამოვაწერეთ, ბარემ ეს „პატარ-პატარა“ დანაშაულებიც ვაპატიოთ — ბოლოს და ბოლოს, კაცი პრეზიდენტი იყო.

სააკაშვილის მხარდამჭერები ამ სიტყვა „პრეზიდენტს“ განსაკუთრებული ხასგაზმით აწვებიან და ქვეყნის სირცხვილად და თავისმოჭრად თვლიან, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი ციხეში გვყავს გამომწყვდეული, თითქოს პრეზიდენტობა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის ექსკლუზიურ უფლებას იძლეოდეს.

აღმაშფოთებელია ზოგიერთი ევროპარლამენტარის თუ ამერიკელი კონგრესმენის მბრძანებლურ-დიდაქტიკური ტონით გაკეთებული განცხადება, თითქოს დამნაშავე სააკაშვილის დაჭერა დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება და სერიოზულად აზიანებს საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს.

პატივცემულო მეგობრებო, კარგი იქნებოდა, დემოკრატია მაშინ გაგხსენებოდათ,



როცა სააკაშვილის რეჟიმი ქუჩაში ხვრეტდა ადამიანებს და ციხეებში ათასობით პატიმარს სასტიკად აწამებდა.

როგორც ჩანს, გიჭირთ იმის აღიარება, რომ თქვენგან მხარდაჭერილი და დემოკრატიის შუქურად შერაცხილი სააკაშვილი ჩვეულებრივი არამზადა აღმოჩნდა, რომელმაც 21-ე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის თვალწინ, საქართველოში ქართულ ფაშიზმს ჩაუყარა საფუძველი.

აი, ამ კაცს რომ ესარჩლებით, ამ კაცის გათავისუფლებას რომ ითხოვთ, რას ეუბნებით ქართველი ხალხის უმრავლესობას, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ქართული ფაშიზმის მთელი საშინელება?

ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: იმდენს ნუ იზამთ თქვენ, ისე ნუ გაამწარებთ ქართველ ხალხს, რომ იძულებული გახდეს, თქვას ის, რისი თქმაც მას არ უნდა: თავი დაგვანებეთ თქვენს სააკაშვილთან და თქვენს „ნაცმოძრაობასთან“ ერთად!

ყველაფერს ველოდი „ნაცმოძრაობისგან“, მაგრამ იმას ნამდვილად არ ველოდი, 21-ე საუკუნის საქართველოში კერპთაყვანისმცემლობის დაბრუნებას თუ მოინდომებდნენ.

არადა, მოინდომებდნენ რომელია, როცა სამი „ნაცისტური“ ტელევიზია გამალებული მუშაობს იმაზე, რომ სააკაშვილისგან კერპი შემნან და უბირი ბრბო ამ კერპის ფერხთით განართხონ.

უნამუსო გვარამია და მასზე არანაკლებ უნამუსო მისი ჟურნალისტები, „ნაცმოძრაობის“ ასევე უნამუსო ლიდერშიფთან ერთად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ თხემით ტერფამდე სისხლში ამოვლებული ჯალათისგან წმინდანი შექმნან და თავზე შარავანდედი დაადგან.

როგორი ურცხვი და უტიფარი უნდა იყო, ამ გაუგონარი მკრეხელობის განხორციელება რომ განიზრახო და შენი თანამემამულეების ტვინების გამორეცხვა და გამოთაყვანება დაისახო მთავარ მიზნად.

14 ოქტომბერს „ნაცმოძრაობის“ აქციაზე შეკრებილ ადამიანებს რომ შეხედავდი, არ შეიძლებოდა გული სიბრალულით არ აგვსებოდა.

როგორ უნდა გაიმეტო ასე საკუთარი ხალხი, როგორ უნდა მიაყენო ამხელა შეურაცხყოფა — 50 ლარად ჩამოიყვანო რაიონებიდან და სოფლებიდან, დაყენო თავისუფლების მოედანზე და — მიშა! მიშა! აძახებინო.

ადამიანები არიან ესენი, ცხვრის ფარა ხომ არ არის, მიტინგიდან მიტინგზე, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში რომ დაერეკებით, თქვე გათახსირებულო ნაცებო!

„ნაცმოძრაობა“ დიდი ხანია სეპარატისტულ წარმონაქმნად იქცა, რომელიც გასულია ქართული სახელმწიფოს იურისდიქციიდან და ცალკე „ავტონომიად“ ცხოვრობს.

ამ ავტონომიას ჰყავს თავისი პრეზიდენტი, თავისი მთავრობა, აქვს სამი ტელეარხისგან შემდგარი ტელეკორპორაცია, ჰყავს პირადი სახალხო დამცველი, ჰყავს სახელმწიფო სტრუქტურებში ჩანერგილი აგენტურა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, სხვადასახვა სახელმწიფოს ადმინისტრაციებში მრავლად მრავლად არიან განფენილნი ე. წ. ლობისტები და ა. შ.

სეპარატისტული „რესპუბლიკა ენმ“, ფაქტობრივად, არ ემორჩილება ქართული სახელმწიფოს კანონებს, ხოლო მისი მონაწილეობა ქართული სახელმწიფოს არჩევნებში უფრო დამპყრობელი ლაშქრის შემოსევას ჰგავს, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობას.

აი, ამ რეალობაში ვცხოვრობთ 2012 წლიდან და ვერა და ვერ მოგვიფიქრებია, რა ვუყოთ ამ გათავხედებულ და ურჩ სეპარატისტულ წარმონაქმნს, სახელწოდებით „რესპუბლიკა ენმ“, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ფსიქიატრიული რესპუბლიკა ენმ“, რომლის მმართველობა გიჟებმა ჩაიგდეს ხელში.

— რა ვუყოთ და გავაუქმოთო, — თქვეს 16 ოქტომბერს რუსთავის ციხესთან საპროტესტოდ შეკრებულმა მოქალაქეებმა.

მე მგონი, სწორი გადაწყვეტილებაა — დროულად უნდა გაუქმდეს ეს სეპარატისტული წარმონაქმნი, სანამ მეტასტაზებივით არ მოედება ქართული სახელმწიფოს სხეულს და ნაწილ-ნაწილ არ დაშლის მას.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# სააკაშვილი ქართველი კალიგულაა, რომელსაც ადამიანების წამება სიამოვნებას ანიჭებს

## ფურთხის ღირსია საქართველოს ის ნაწილი, რომელიც „ნაცმოძრაობას“ უჭერს მხარს



*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე*

**— ბატონო ელიზბარ, სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, თავისუფლების მოედანზე აქცია გაიმართა. რას ფიქრობთ, ეს მოთხოვნა რამდენად სამართლიანია?**

— სააკაშვილმა — ე.წ. ყოფილმა პრეზიდენტმა სახელმწიფოს საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა და საქონელსა თუ კარტოფილებში ჩამალული საქართველოში ქურდულად შემოიპარა. ქართველი ძალოვანების დიდი ოსტატობის შედეგად, იგი, დააპატიმრეს. მისი ციხეში ყოფნის გამო ატეხილი ვიშვიში, ქოთქოთი, ერთობ, ტრაგი-კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ის ადამიანები, რომლებიც მის გათავისუფლებას ითხოვენ, საბრალონი არიან, რომელთაც არც მორალი აქვთ, არც ზნეობა, არც ქვეყნის სიყვარული იციან და არც აზროვნების უნარი გააჩნიათ. ამიტომ, ისინი, ტრაგიკული პიროვნებები გახლავთ. მათ ჰგონიათ, რომ სამყაროს „დიდი კაცის“ დამცველად მოევლინენ. კომიკური კი ის არის, სააკაშვილი ტელევიზორს და თბილ ლეიბს რომ ითხოვს. გაიხსენოს, რა დღეში იყვნენ პატიმრები მისი რეჟიმის ციხეში. მისი დამცველებიც ერთხმად გაჰკივიან: მიშას წიგნებს არ აძლევენ, ტელეფონზე არ არეკინებენ, არაადამიანურად ეპყრობიანო. აი, ეს, უკვე, აღარც ტრაგედიის ჟანრია და არც კომედია. ეს, უბედურებაა, რაშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება. სამყარო თავდაყირა დადგა — ქართველმა კაცმა, საერთოდ, დაკარგა ღირსება, ადამიანის სიყვარული, მორალურ-ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპები და ა.შ., რისი შემომქმედიც მიხეილ სააკაშვილი გახლავთ. ტელევიზორი კი არ უნდა მიართვა, საერთოდ, დღის შუქი არ უნდა დაანახო იმდენი ავკაცობა აქვს ჩადენილი ქვეყნისა და ერის წინაშე. ერთი ამბავი ატეხეს: მიშა შიმშილობსო. რისი მოშიმშილეა ეგ ღორმუცელა, ჭამის მეტს არაფერს აკეთებს. დაგვავიწყდა, რომ ქვეყანა, ქართველი ერი თავის მუცლის ამოყორვას გადააყოლა. არც თემურ-ლენგი, არც ჩინგიზ-ხანი, არც მურვან-ყრუ, საქართველოსთვის ისეთი სიავის მქმნელნი არ ყოფილან, რასაც ეს ნაძირალა სააკაშვილი სჩადიოდა. მისნაირი ე.წ. პრეზიდენტი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. თავად, აცხადებდა: საქართველოს ისტორია ჩემგან იწყებაო. იგი, საქართველოს წარსულს უგულვებელყოფდა. წარსულში უამრავი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ სწირავდნენ ადამიანები პირად სიცოცხლეს სამშობლოს გადარჩენისთვის. სააკაშვილი კი ქვეყანაზე ფიქრის ნაცვლად, სქესობრივი ცხოვრებით, მასაჟებით და მუცელღორობით იყო დაკავებული. რატომ ითმენს ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს, არ მესმის. თუ იმიტომ არ იღებენ ხმას, აქაოდა, ტოლერანტები ვართო, ამ პოზიციით და ამგვარი დემოკრატიით, საქართველო ვერ გადარჩება. ასე თუ გაგრძელდა სამშობლო მოგვესპობა და თავზე დაგვენგრევა. ყველაფერი აქეთკენ მიდის — ჯურღმულში ვართ გადაჩეხილი და ვერც ამოვალთ, სანამ ნაცებს არ განვდევნით. „ნაციონალური მოძრაობა“ ბევრად უარესია, ვიდრე ფაშისტები იყვნენ. დიახ, მსგავსი დასჯის ფორმები, ადამიანებისადმი ღირსების შემლახველი მოპყრობა, რაც ნაცების დროს ხდებოდა, პირწავარდნილ ფაშისტებსაც არ გაუკეთებიათ. იმის ნაცვლად, რომ მათ სული ციხეში ხდებოდეთ, გამოდიან და ყელყელაობენ, მიტინგებს მართავენ. როგორ ბედავენ, რომ ციხეში სააკაშვილისადმი არაადამიანურ მოპყრობაზე (ტელევიზორი და წიგნები არ მიართვეს თურმე) საუბრობენ მაშინ, როცა მიშამ უდანაშაულო ახალგაზრდების სისხლის გუბეები დააყენა. ეს, რა იყო — ადამიანური მოპყრობა?!!! აი, ეს გახლავთ უბედურება.

ტელევიზიით ვაკვირდებოდი, ვინ იყვნენ თავისუფლების მოედანზე შეკრებილნი. ხალხი ვინც აქციას ესწრებოდა, მე, ქართველებად ანუ, ქართული ცნობიერების მატარებლებად, მოაზროვნე ნაწილად არ მიმაჩნია. იქ, მყოფნი სამ კატეგორიად დავყავი: ერთნი გვარწმუნებდნენ — მიშას გათავისუფლებას ქვეყნის გათავისუფლება მოჰყვებაო. ისე აშენდა მათი ოჯახები! სააკაშვილის ქვეყნის სათავეში მოსვლა, საქართველოს, საბოლოოდ, დაღუპვას ნიშნავს; მეორე კატეგორია შემთხვევით მისული ხალხი გახლდათ და მესამენი — ფულით მოსყიდულნი. ეს მიტინგი, ნაცებს, 5 მილიონი დოლარი დაუჯდათ. მათ, 4 ათასი სამარშუტო ტაქსი დაიქირავეს და ხალხს 200-200 ლარი და საჭმელ-სასმელი დაურიგეს. აი, ეს ნაკრები გახლდათ მიტინგზე. მე, ვიტყოდი: ეს იყო ბრბო, რომელსაც აზროვნების ნატამალი, არავითარი ჯანსაღი მიზნები არ გააჩნიათ. აქვე, ერთსაც დავამატებ: უდუმაშვილმა განაცხადა: მიტინგზე იმდენი ხალხი მოვა, სუნთქვასაც ვერ შევძლებთო. უდუმაშვილს თავი მიშას საჯდომში აქვს შეყოფილი, ამიტომ უჭირს სუნთქვა. ვეუბნები: გამოყავი თავი და ისუნთქებ-მეთქი და არ შვება.

**— სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნის პეტიციას ხელოვნების წარმომადგენლებმა, მათ შორის, მხატვრებმა, მწერლებმა მოაწერეს ხელი...**

— ვის ეძახით ხელოვნების წარმომადგენლებს, ამ ე.წ. ჰუმანურ ადამიანებს თავი ინტელიგენციის უმაღლესი წარმომადგენლები რომ ჰგონიათ?! სხვათა შორის, რაც არ უნდა დიდი წარმოდგენა გქონდეს საკუთარ თავზე, ამ პეტიციაზე ხელის მოწერის შემდეგ, იარაღი უნდა აიღო და თავი მოიკლა იმიტომ, რომ იმ ადამიანის გათავისუფლებას ითხოვ, რომელმაც დედებს, მამებს შვილები დაუხოცა, 151 ახალგაზრდა მოკლა, ქართველები გააუპატიურა და ა.შ. მიშა გახლავთ დიქტატორი, რომელსაც ხალხის წამება კალიგულასავით სიამოვნებას ანიჭებდა. წამების ფაქტებს ფირზე იღებდნენ და მერე, სააკაშვილს აყურებინებდნენ. მაგალითად, გადაღებულია, როგორ აუპატიურებს კოჭლი კაცი მამაკაცს საკუთარი ცოლ-შვილის თვალწინ. გული მერევა, რომ ვიხსენებ. აი, რა სიამოვნებდა სააკაშვილს. კალიგულაც, ასე იყო — როცა ხორცი გაძვირდა, ნადირს ცოცხალ ადამიანებს აჭმევდა და მერე, სიამოვნებით უყურებდა. ასე, სიამოვნებით უყურებდა სააკაშვილი ქართველი ხალხის წამებას და ჟლეტას. როგორ დავიჯერო, რომ ვინც ამ სადისტის გათავისუფლებას ითხოვს, ნორმალურად მოაზროვნეა, გინდაც მომღერალი იყოს და გინდაც მწერალი. მათ მივმართავ: ვინ გდიხართ, სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას ხელს რომ აწერთ? თქვენ, ხართ ლექი. ლექზე უარესიც, ჭაობის ქვედა ფენა, ვითომ, შემოქმედებად რომ მოგაქვთ თავი. ერთი მაგალითი განვიხილოთ და ყველაფერი ცხადი გახდება: პეტიციას ხელს აწერს მხატვარი გია ბუღაძე. იგი, თავის დროზე, მიშამ სამხატვრო აკადემიის რექტორად დანიშნა. და, რა ასწავლა მან სტუდენტებს? — თავისუფლება, რაც ერთმანეთისთვის სახეში შეფურთხებით გამოიხატებოდა. ამაზრზენი სანახავი იყო როგორ აფურთხებდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, პირდაპირ, სახეში. მართლაც, ფურთხის ღირსნი ხართ, თქვენ, ყველა, ვინც ამ პეტიციას ხელი მოაწერეთ. როგორც აკაკი წერეთელმა ბრძანა: ასეთი საქართველო, მართლაც, ფურთხის ღირსია.

**— ჭეშმარიტი თავისუფლება რაშია?**

— ის რაც დღეს ხდება, ჩემთვის გაუგებარია. არსებობს პრინციპები, რასაც უნდა ემსახურო. ჩემთვის, ერთადერთი პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოსა და ღმერთის სიყვარულია და მერე, საკუთარი თავი. სამწუხაროდ, დღეს, ადამიანმა ლიბერალური თავისუფლება ცხოველურ დონემდე დაიყვანა — ყოველგვარი ეთიკური წესების უარყოფით, საკუთარი თავის თავისუფლებას აცხადებენ. ე.ი. თავისუფალი ისეთ ადამიანს ჰქვია, რომელიც გამოდის და ამბობს: მე, საქართველოში, ქალთა შორის, უპირველესი ბოზი ვარო. შეხედეთ, „მთავარს“, „ფორმულას“, „ტვ პირველს“. ეს საცოდავი ტელევიზიები ამორალურობის, უზნეობის, გარყვნილების, უსამართლობის, სიცრუის ტირაჟირების მაგალითები არიან. მათ, სიმართლის თქმა არ სურთ. ბოდიში და გამოდიან ეს უწიგნური დედაკაცები, რომელთაც არც სამშობლოს განცდა აქვთ, არც დედობის და არც არაფერი წმინდას. გამოდიან ეს უვიცები და პრეტენზიას აცხადებენ: ივანიშვილი თუ ღარიბაშვილის თავს არ დაგვიგორებს, ჩვენ, თავად მის თავს დავაგორებთო. რისი დამგორებლები ხართ, თქვე, უბედურებო?

**— არჩევნების შედეგებზეც ვისაუბროთ. რით იყო ეს განპირობებული?**

— არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა, თუმცა, კახი კალაძემ ვერ გაიმარჯვა, რაც ჩემთვის სავსებით გაუგებარია. მან, მთელი თბილისი გაამშვენიერა, სახლ-კარ წართმეულ ხალხს თავშესაფარი მისცა. თავის დროზე, სააკაშვილი კახი კალაძეს დაუპირისპირდა, რადგან იგი, თავის მეგობარ დემეტრაძეს დაუდგა გვერდში. ასეთი რამ მაქვს წაკითხული ჯერ კიდევ მაშინ, როცა კახი პოლიტიკაში არ იყო: ხალხი ბორჯომიდან მიკროავტობუსით მოდიოდა, გაჩნდა ხანძარი, ადამიანები გარეთ გამოცვივდნენ და ბავშვები ხანძარში დარჩნენ, რასაც კახი და მისი მეგობრები შეესწრნენ. ისინი შევარდნენ და ბავშვები გადაარჩინეს. ამას, კახი არასდროს იხსნებს. ხალხმა ეს უნდა გაითვალისწინოს და მის ადამიანობას მხარი დაუჭიროს. ახლა, ვთქვათ: ვინ არის მელია კუდიგრძელია? — ვითომ, ვაჟკაცი, რომელმაც სამაჯური მოისროლა, ხელისუფლებას აუჯანყდა, ხალხს პარლამენტში შევარდნისკენ მოუწოდა. ეს იყო დამხობისკენ მოწოდება. მერე, იმუქრებოდა: ვერ დამიჭერთო, დაიჭირეს და ახლა, ციხიდან არ გავალო. ბოდიში მომითხოვია და რაც გადააფურთხა, ყველაფერი ალოკა. მახსენდება, სულხან-საბას იგავი: მსუნაგი მელია ვარიას დასაჭერად მიდის. ამ დროს ბრახუნი, გუგუნი შემოესმა. მოიხედა, დიდი დოლი დაინახა, რომელსაც ხის ტოტები ეცემოდა და ბრახუნობდა. მელიამ იფიქრა: აქ, რაღაც იქნებაო. გაჭრა დოლი, რომელიც






ცარიელი აღმოჩნდა. ასეა, ნიკანორ მელიაც — ცარიელი, მარტო ბრახუნობს და მეტი არაფერი, ერთი წიგნი არ აქვს წაკითხული. მან კაგებეს სკოლა დაამთავრა, მის ერთ-ერთ განყოფილებაშიც მუშაობდა. ნიკანორი ერთ-ერთი ყველაზე სახელგატეხილი მინისტრის კვირაიას, უშუალო, მსახური იყო. დიახ, ცარიელი დოლი რომ ბრახუნობს და შიგ არაფერია, ასე გახლავთ მელიაც. მამამისი ვინ არის? — კი ბატონო, კარგი ექიმია, მაგრამ რა უნდა პოლიტიკაში, უკვე გამოჩერჩეტებულია. მამა-შვილი ერთად გვებრძვის თუ რა ხდება? ადრე, თავის შვილის პოზიციას არ იზიარებდა. დღეს რა ხდება? რა უნდა ზუგდიდში ანზორ მელიას, კაცს რომელიც ამბობს: აფხაზები კი არ არიან დამნაშავე, არამედ ქართველებიო. მან 36% აიღო. წესით, ერთი ხმაც არ უნდა მიეღო. ბრბო, რომელიც აქციაზე ვნახე და მთელი საქართველოდან ჩამოყარეს, სექტანტები, კერპთაყვანისმცემლები არიან. დანარჩენი ის ხალხი გახლავთ, რომელთაც ჩვენ, არ გავაგებინეთ, თუ რას სჩადიოდნენ ნაცები. ახალგაზრდობამ მიშას დანაშაულობების შესახებ არაფერი იცის, ან არ უნდა გაიგოს. თაკო ჩარკვიანი აცხადებდა: ამ კადრებს არ შევხედავ, არ მჯერაო. მიშასთვის 40 ათასი კაცი უნდა დაეხვედრებინა და 200-იც ვერ გამოიყვანა. არ შეიძლება იმ საქმეს წაეპოტინო, რაც არ იცი. იჩემებს: პუბლიცისტი ვარო. ერთი წამაკითხეთ, მისი დაწერილი პუბლიცისტიკა. აქვე, ორიოდ სიტყვა გახარიაზეც მინდა ვთქვა: ამომრჩევლის გარკვეულმა ნაწილმა მას მხარი დაუჭირა. როცა პრემიერ-მინისტრი იყო, მას პატივს ვცემდი, რადგან ამბობდა: ნაცებს დავასრულებო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს დადგმული სპექტაკლი იყო. მერე, მელიას გამო თავი გადადო, ალბათ, ასე დაავალეს. დღესაც, მხარს მელიას უჭერს. ის რომ არა, მეორე ტურიც არ დაინიშნებოდა. მან, კარიერა რუსეთში გაიკეთა. იგი, მოსკოვიდან შემოგზავნილი კაცია. გახარია 2008 წელს რუსეთში ერთ-ერთ სამხედრო ორგანიზაციაში ბიზნესის განვითარების დირექტორი იყო. 2010 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი გახლდათ. 2013 წელს საქართველოში ჩამობრძანდა და პირველივე არჩევნებში „ქართული ოცნების“ სიაში მეხუთე ადგილი დაიკავა. მერე, ეკონომიკის მინისტრი გახდა, შემდეგ, შსს-ს მინისტრი და ბოლოს, პრემიერი. ამერიკაში მიშას რომ შეხვდა, ეს ხაზი, სწორედ, მოსკოვიდან მოდის. იგი, ქართულ სინამდვილეში, გარკვეული, დავალებით შემოგზავნეს. ახლა, ხელისუფლებას ამტყუნებს: არასწორად იქცევით, მთავრობა კოალიციური უნდა იყოსო. ქართველი ხალხის თავისმოჭრაა ის, რომ ხმა მისცა იმ კანდიდატს, ვინც საკუთარ პარტიას უღალატა, რომელმაც იგი, კაცად აქცია. გახარია მოღალატეა, მისი ნდობა არ შეიძლება. აქვე, ქუთაისის მერობის კანდიდატზეც მოგახსენებთ. ვის ირჩევენ? — ადამიანს, რომელიც ქუთაისში გავლითაც არ ყოფილა. ვინ არის ხატია დეკანოიძე? — მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. 2018 წელს იყო აშშ-ს, ასევე, ევროპის ექსპერტი პოლიციის რეფორმის საკითხებში, 2017-18 წლები მარშალის უსაფრთხოების ცენტრის უფროსი, ხოლო შემდგომ, უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსი გახლდათ. დააკვირდით, უკრაინაშიც ბრძანდებოდა. ასევე, იყო განათლების მინისტრი და პოლიციის აკადემიის რექტორი. ამ ქალბატონმა, რომელიც მრავალ ღობეს არის გადამხტარი, ახლა, მიშიკოს დაუდგა გვერდში და ერთ ამბავშია. როგორ შეიძლება, ძირძველი კულტურის ქალაქში დეკანოიძე მერის კანდიდატი იყოს.

**— ბატონო ელიზბარ, სააკაშვილის დანაშაულებზე რას იტყვით, 6 წელი რამდენად საკმარისია?**

— სააკაშვილი სახელმწიფო დამნაშავეა. მან, ახალგაზრდები ჩახოცა. მაგრამ ეს არის მხოლოდ მისი დანაშაული? რატომ ხმას არავინ იღებს — ვინ მოკლა ჟვანია? — ეს, უშუალოდ, სააკაშვილის ჩარევით მოხდა. ვინ მოკლა გურამ შარაძე — ერთ-ერთი ღირსეული ქართველი კაცი, რომლის პრინციპი საქართველოს, უფლის სიყვარული იყო? სააკაშვილმა, იგი, ორჯერ დააპატიმრა, არაფრის გამო 14-14 წელი მიუსაჯა. შარაძე დღისით, მზისით მოკლეს, ორი საათი თავის სისხლში იწვა და არავინ მიაკარეს. ეს იმიტომ გააკეთეს, რათა ყველას დაენახა: რა ემართება იმ კაცს, ვისაც სამშობლო უყვარს. პანაშვიდიდან რომ გამოვედი, ჟურნალისტებს ვუთხარი: ეს კაცი ხელისუფლების მოკლულია-მეთქი. საქმე, დღემდე, არ გახსნილა. 7 ნოემბრის დარბევაზე აღარაფერს ვიტყვი. თუმცა, არ შემიძლია 26 მაისს გვერდი ჩავუარო და არაფერი ვთქვა: ამ ნაძირლებმა ყველა გზა გადაკეტეს, მე, შემთხვევით გადავრჩი. ასევე, ყველა სადარბაზო გადაკეტეს — 12 საათის მერე, ვერც შეხვიდოდი, ვერც გამოხვიდოდი. ასეთი რამ, როდიონოვსაც არ გაუკეთებია. ხალხი დახოცეს, აწამეს. ჟურნალისტები, რომელთაც ეს სისასტიკე გადაიღეს, სახელმწიფო მოღალატეებად გამოაცხადეს. ხალხი კინო რუსთაველიდან გამოყარეს, სამმართველოში წაიყვანეს და იქ, სისხლის ნაკადულები დააყენეს. ამაზე, რატომ არავინ ლაპარაკობს? რა ხდება, გამაგებინეთ. შარლ მიშელმა ამნისტიით მიშას გათავისუფლება ითხოვა. ვინ არის შარლ მიშელი, საქართველოს კონსტიტუციაზე მაღლა რომ დააყენა თავი? აი, ეს არის ჩვენი ევროპა. ვიღაც კახპა ქალი ჩამოდის და მასწავლის: როგორ ჩავატარო არჩევნები. ერთი რამ ზუსტად ვიცი: საქართველოს, მხოლოდ, ქართველი ხალხი გადაარჩენს, რომელიც, ჯერჯერობით, ითმენს. დადგება ჟამი, გარეთ გამოვლენ და მათ ვეღარაფერი გააჩერებთ. ვიმეორებ, ქართველი ხალხი დუმს, მაგრამ თუ ადუღდა და გადმოიღვარა ნაცებისგან აღარაფერი დარჩება და შეიძლება, სხვებიც მიაყოლონ. ასევე, კანონის თანახმად, უნდა დავადუმოთ სამი ტელევიზია — „მთავარი“, „ფორმულა“ და „ტვ პირველი“, რომლებიც მტრობის, უზნეობის, სიბილწის, სიცრუის გარდა, არაფერს ქადაგებენ. ესენი უნდა დადუმდნენ. — წეღან, გაიხსენეთ, კოჭლი კაცი როგორ აუპატიურებდა ადამიანს ცოლ-შვილის წინაშე. ეს კადრები ყველასთვის რომ გვეჩვენებინა, იქნებ, აღარც მოეთხოვათ მიშას გათავისუფლება?

— ეს კადრები, ახლაც, შემონახულია. არ აჩვენებენ იმიტომ, რომ მართლა საშინელებაა. ხალხი „ქართული ოცნების“ მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს სწორედ იმის გამო, რომ ნაცები, თავის დროზე, არ ალაგმეს. ძნელია ამის გაკეთება, ცალკე ევროპა გვაწვება, ცალკე — ამერიკა. ჩვენ, ხომ პატარა ქვეყანა ვართ. თუმცა, მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი ეროვნულ ტრადიციებს ყველაზე მაღლა აყენებენ. ირაკლი ღარიბაშვილს იცით, რატომ ვცემ პატივს? — მან თქვა: ჩემი უფროსი ევროპა კი არა, ქართველი ხალხიაო. ამის გამო, უტევენ. ასევე, პატივს ვცემ თეა წულუკიანს, რომელიც ეროვნულ პოზიციას არ ღალატობს. კობახიძეც, პირდაპირ, ეუბნება ნაცებს: ნაძირლები ხართო. ერთ ამბავს გავიხსენებ: თავის დროზე, გამსახურდიამ „კომუნისტები“ პარლამენტიდან გაუშვა — ჩვენს იდეოლოგიას არ შეეფერებითო. ჩვენ, ნაცებს ვეხვეწებით: პარლამენტში შემოდითო, იმ მოტივით, ვითომ, პოლარიზაცია არ დაგვაბრალონ. ქართველი ერი ამ ცხოველების ვეღარ მოუთმენს.




ბოლოს, ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზეც მოგახსენებთ: ნაცები, დღემდე, ყველა სფეროში არიან გაფანტულნი. ასევე, სასწავლო დაწესებულებებში. მაგალითად, „ილიაუნში“ ყველა მიშისტია. ეს არის ჭაობი, სადაც ისინი ხარობენ. განათლების სამინისტროც ნაცებით არის სავსე. როგორც გახსოვთ, 2010 წელს მასწავლებელთა სერტიფიცირება შემოიღეს. მაშინ მიშას ერთგული პედაგოგები სკოლაში დატოვეს, სხვები — მიაბრძანეს. პედაგოგთა სერტიფიცირება ახლახანაც ჩატარდა. ისეთი კითხვები იყო, სიცილს ვერ შეიკავებდით. მაგალითად, ტესტებში იყო ასეთი კითხვა: აფრიკული მწერი ყელით სუნთქავს თუ სხეულით? ეს, მასწავლებელმა საიდან უნდა იცოდეს? ვინც ეს კითხვა შეადგინა, მას მინდა ვკითხო: თავით მსჯელობს თუ საჯდომით? ამ გამოცდის შედეგად, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 19 ათასი მასწავლებელი უმუშევარი დატოვეს. ეს, შეგნებულად გაკეთდა. ამის სათავეში იდგა „მასწავლებელთა სახლის“ დირექტორი ბესიკ შუკაკიძე, რომელიც 2006-10 წლებში განათლების სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი იყო და „გამოცდების შეფასების ცენტრის“ ხელმძღვანელი სოფო გორგიძე, რომელიც 2007-10 წლებში, ასევე, განათლების სისტემაში მუშაობდა. ორივე, ლომაიას აღზრდილები არიან. კონკურსი, სწორედ, მათ ჩაატარეს. ვიმეორებ, ეს შეგნებულად მოხდა, რათა წინასაარჩევნოდ მასწავლებლების უკმაყოფილება გამოეწვიათ. როგორ ფიქრობთ, ეს 19 ათასი ადამიანი, „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას?! აი, რატომ გაკეთდა ყოველივე. ასე, რომ ასეთი ხალხი განათლების სამინისტროდან უნდა მოშორდეს, პანღურის კვრით არიან გასაგდები. განათლების მინისტრს პატივს ვცემ, წესიერი, მეცნიერი კაცია, მაგრამ მას მინდა მივმართო: განათლების სისტემა ნაცებისგან გაწმინდოს!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რა პარადოქსია: სააკაშვილს საქართველოს დანგრევისთვის მხოლოდ 6 წელი მიესაჯა, მისმა სასამართლომ მეც 6 წელი მომისაჯა საქართველოს სიყვარულისა და სარწმუნოების დაცვისთვის

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.



**— მამა ბასილ, 14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე ნაციონალებისა და მათი მხარდამჭერების ხალხმრავალი აქცია გაიმართა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— სახელითა მამისათა ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

სულიერო შვილნო, ძმანო და დანო, ოცდაათი წელია, საქართველოს ჯოჯოხეთისკენ მიაქანებებენ შინაური მტრები და დღესაც თავს 90-იანი წლების ავის მომასწავებელი ღრუბელი გვადგას.

14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე შეკრებილნი იყვნენ 50 და 100 ლარად გაყიდული გაუთვითცნობიერებელი ადამიანები, რომელნიც ცოცხების სირცხვილის დერეფნის გავლით უერთდებოდნენ საქართველოს მოღალატეთა აქციას. მათ არც იცოდნენ, რისთვის იდგნენ იქ. ამიტომ ახლა მე შევეცდები ავუხსნა, რისთვის ზის ციხეში ჯალათი სააკაშვილი.

მე თავად ვარ იმ ფაქტების მხილველი, რაც ხდებოდა მისი პრეზიდენტობის დროს, რადგან პატიმარი ვიყავი და ციხეში ვიმყოფებოდი.

ციხის ბუნტი, წინასწარ დაგეგმილი ბოროტმოქმედთა მიერ, გამიზნული იყო, გამოესალმებინათ წუთისოფელს სულხან მოლაშვილი, თვით მე და სხვები, რომლებიც მათთვის მიუღებელნი ვიყავით. ბატონი სულხანი ჩემი საკნის გვერდით საკანში იმყოფებოდა, არაადამიანურად ნაწამები. სხეულზე თითქმის საღი ადგილი არ ჰქონდა.

იმ საშინელი ბუნტის ღამეს სასწრაფო დახმარების მანქანები შეუწყვეტლად შემოჰყავდათ.

ჩვენს თვალწინ ეყარნენ გიგა ბოკერიასა და მისი დამქაშების მიერ ციხის კამერებში ნაწამები პატიმრები — დაჭრილები და დახოცილნი. ჩვენ ვარჩევდით ერთმანეთისგან ცოცხლებსა და მკვდრებს. დაჭრილებს დახეული ზეწრებით ვუხვევდით ჭრილობებს.

ჩვენ, პატიმრებმა, წინასწარ ვიცოდით სააკაშვილისა და მისი კრიმინალური დაჯგუფების გეგმები — თუ ვინ როდის უნდა მოეკლათ, ვინ დაეყაჩაღებინათ. ჩვენთან საპატიმროში მოდიოდა სარწმუნო ინფორმაციები, თუმცა მათი რეჟიმის პირობებში, სამწუხაროდ, ვერ ვასაჯაროებდით...

ეს იყო კოშმარი, თუმცა ასეთი კოშმარები არაერთი მოუწყვეს ქართველ ხალხს.

მარტო აკადემიკოსი გურამ შარაძის, სამშობლოსა და მართლმადიდებლობის უზადო დამცველი მამულიშვილის უმოწყალოდ დახვრეტა რად ღირს შუა ქალაქში, დღისით-მზისით. როგორც წიწამურში ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე, ისე უმოწყალოდ დაადუმეს იმიტომ, რომ გურამ შარაძე იყო, იმიტომ რომ სამშობლოს იცავდა თავდაუზოგავად, იმიტომ რომ ნამდვილი პატრიოტი იყო.

17 ოქტომბერი გურამ შარაძის დაბადების დღეა. ამ თვეში არის გურამ შარაძის მეუღლის დაბადების დღეც. ისიც ახლა თავის სასიქადულო მეუღლესთან და შვილებთან ერთად განისვენებს ცათა სასუფეველში...

მათ უსაყვარლეს და ღირსეულ შვილს რუსუდან შარაძეს გამძლეობას და ღმერთის წყალობას ვუსურვებ.

დღეს პატიმარ სააკაშვილს მისჯილი აქვს 6 წლით პატიმრობა. ეს სასჯელი სამარცხვინოა მისი დანაშაულებების ფონზე.

რა პარადოქსია: სააკაშვილს საქართველოს დანგრევისთვის მხოლოდ 6 წელი მიესაჯა და მეც 6 წელი მომესაჯა საქართველოს სიყვარულისა და სარწმუნოების დაცვისთვის.

სააკაშვილმა საპრეზიდენტო „მოღვაწეობის“ დაწყებისთანავე თავის სულს წარწყმედისთვის განაჩენი გამოუტანა ჩვენი ეკლესიის დარბევით.

გეკითხებით, რად უნდოდა 3000-მდე კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზელი, ჟანდარმერია ე. წ. მე-8 პოლკი ჩემს დაკავებას, მაშინ, როცა მე თავისუფლად ვმოძრაობდი ქალაქში მარტო, სამშენებლო მასალებს ვეზიდებოდი, ეკლესიას ვაშენებდი.

მივმართავ სააკაშვილის „დასახსნელად“ შეკრებილ ხალხს, თქვენ თანხმობას აძლევთ უკანონო მოთხოვნას კაცის მკვლელის, სადისტის გათავისუფლებისთვის. თქვენ მკრეხელობთ, ეთანხმებით მათ, ვინც სააკაშვილს ზვიად გამსახურდიასთან აიგივებს და აიგივებს საქართველოსთან. ხალხნო, მომავალი თაობა გეზრდებათ. იელოველებივით მატერიალურ სიხარბეს ნუ ანაცვალებთ სამშობლოს და სარწმუნოების ინტერესებს.

**— მამა ბასილ, თქვენი განცხადებები, როგორც ყოველთვის, ხისტია და კატეგორიული, სამაგიეროდ, საპატრიარქოს მეუფეები შენდობის და მიტევების მომხრე არიან. თქვენ რატომ ხართ ასეთი რადიკალური?**

— ჩემო კარგო, სხვანაირად არ მეგების, რამეთუ დიდი ილია ბრძანებს: „ნაბრძანები გვაქვს მტრად ვიყოთ მხოლოდ სატანასთან, მას ნურასოდეს შენურიგდებით“.

მოღალატე სექტა სიკეთეს, ქვეყნის სასარგებლო საქმეს არ გააკეთებს. მელია — სამშობლოს მოღალატე, კანონის დაუმორჩილებელი, თავი და თავი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა. ხოშტარია — რომელსაც მამისგან მემკვიდრეობით გადაეცა მოღალატეობა, უგულავა — ბიუჯეტის ვირთხა, ალბათ მოაკლდა მოპარული მილიონები და შევსებას ცდილობს. ბარამიძე, რომელმაც უმოწყალოდ ამოხოცა აფრასიძეების ოჯახი, ბოკერია — ქვასროლია, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი, სოროსის მზაკვრული გეგმების შემსრულებელი საქართველოში, ციხის საკნებში პატიმრების უმოწყალოდ მხოცველი.

ავყია დედაკაცები: სამადაშვილი, ბოკუჩავა, დეკანოიძეები. ეს ბოროტმოქმედთა ბირთვი, რომ ემზადება, დაიკავონ ქვეყნის მართვის რგოლები და ძალადობრივი მეთოდით მართონ ერი. ამათ როგორ უნდა შევეგუოთ? ამიტომაც ჩემი პოზიცია ყოველთვის ხისტი და კატეგორიულია.

რაც შეეხება სააკაშვილის „ადვოკატ“ მეუფეებს, მათ ვეკითხები: როგორ ხდება მიტევება, შენდობა?! გააჩნია, რას შეუნდობ, რას მიუტევებ. კაცი, რომელსაც უსაზიზღრესი დანაშაულებები აქვს ჩადენილი და ვერ, უფრო სწორად, არ აცნობიერებს თავის ცოდვებს და პირიქით, აქეთ „გვამშვიდებს“, რომ ქვეყანა უნდა იხსნას „ძალადობრივი“ რეჟიმისგან, იმდენად თავხედია, შემოპარვაც კი გაბედა ქვეყანაში და ემზადება, ჩაიბაროს ხელისუფლება. არ გააჩნია არანაირი სინანული და რა სამწუხაროა, კეთილი დამრიგებელიც არავინ ჰყავს. ამას როგორ შევუნდოთ და ვაპატიოთ?

სააკაშვილი სანამ მთელი ერის წინაშე სახალხოდ არ შეინანიებს, არანაირი შენდობა არ ეგების.

შენდობის მიცემა არ ნიშნავს, რომ სასჯელი არ მოიხადოს.

შენდობა უნდა მიეცეს ცოდვებით დამძიმებული სულისთვის.

რაც შეეხება სასჯელს, მას სამუდამო პატიმრობა ეკუთვნის.

**— მამა ბასილ, რა ხდება საპატრიარქოში, თუ პატრიარქის კურთხევა არ ჰქონდათ, როგორ მოაწერეს ხელი სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციას?**

— ირანდა, გენაცვალე, ძნელი გასარკვევია, რა ხდება საპატრიარქოში, რამეთუ, სამწუხაროდ ჩუენდა და გასახარად მტრებისა, დიდი ქაოსია იქ. მიუხედავად დროებითი განდგომისა, მე ყველაფერს ვაკვირდები. წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის კრიმინალურმა დაჯგუფებამ ღია ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიას, პატიმარი სააკაშვილი ეკლესიის მესვეურებმა დიდი პატივისცემით მოიკითხეს საპყრობილეში. თავის დროზე ეკლესია ხედავდა მის დანაშაულობებს და არანაირი რეაგირება არ ყოფილა. არ იფიქროთ, ნიშნის მოგებით ვსაუბრობდე, პირიქით, არასასიამოვნოა ასეთი სავალალო მდგომარეობა ეკლესიაში. სააკაშვილის მეხოტბე მოღალატე სასულიერო იერარქები, რომელთაც განსჯის უნარი დაუკარგავთ, შიგნიდან ანგრევენ ეკლესიას. იქნებ, გვეკითხა მათთვის, უსაუბრიათ სააკაშვილის რეჟიმის რომელიმე მსხვერპლთან?

სააკაშვილი ამჟამად ნეტარებაშია იმასთან შედარებით, რაც მან მოუწყო ერს, ოსვენციმი გახსნა საქართველოში. ხალხნო, ტელევიზორი ხომ აქვს საკანში, აჩვენეთ ციხის კადრები, ნაწამები პატიმრები, აჩვენეთ მისი მითითებით აღსრულებული შემზარავი ფაქტები. შეახსენეთ მისი ღრიალი: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ მას ნიურნბერგის მსგავსი პროცესი უნდა ასამართლებდეს.

შეძრწუნებული ვარ სააკაშვილის მართული ტელევიზიების ჟურნალისტებით, განსაკუთრებით იმათი ქმედებებით, რომლებიც მუშაობდნენ „იმედის“ ტელევიზიაში. გასაოცარია, დღეს ისინი სააკაშვილის ქომაგად გვევლინებიან. ინგა





გრიგოლია, რომელიც ჩირგვებში ფეხშიშველი გარბოდა თავის გადასარჩენად, ახლა ზის თავის „კანტორაში“, შემოკრებული ე. წ. „პატრიოტებით“ და ჭკუას გვასწავლის, რომელიც, ვგონებ, მას თავად არ აქვს.

ახლა, თუ ნებას დამრთავთ, მინდა მივმართო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს.

ბატონო პრემიერო, ფაქტი სახეზეა, ძალიან მძიმე პირობებში გერგოთ გუნდთან ერთად ქვეყნის მართვა. ყოველი მხრიდან დაბრკოლებებთან ჭიდილი. ჭიდილი შინაურ მტრებთან — ქვეყნის მოღალატეებთან, ჭიდილი ეპიდემიასთან, ჭიდილი მითითებებთან, ჭიდილი კრიმინალური სექტის წარმომადგენლებთან, რომელთაც წლების მანძილზე სისხლის გუბეები დააყენეს, კვლავ ლამობენ, ხელთ იგდონ სახელმწიფოს მართვის სადავეები და ქვეყანა კვლავ წარწყმედის გზას გაუყენონ.

ბატონო ირაკლი, მძიმე ჯვარი გერგოთ. ეს გამოცდაა თვით უფლისგან. ღმერთზე დამოკიდებული ადამიანი ფონს ყოველთვის გავა. თქვენ პატარა კახსაც გიწოდებენ. ერი იმედის თვალით შემოგყურებთ. ჩემი, როგორც ღვთის კანონების მკაცრი დამცველის თხოვნაა, არ გადაუხვიოთ ტაძრისკენ მიმავალ გზას, მიმყვანებელს ზეციურ სასუფეველში. მხოლოდ ღირსეულმა შვილმა, თქვენ მხრებზე მდგარი წილხვდომილი ჯვარი ბოლომდე ატარეთ, რომლის ძლიერებით (როგორც მეფე კონსტანტინე) ერთგულ ერთან ერთად, დასცემთ ემშაკეულ ძალებს, საქართველოს მოღალატეებს, რათა დავიცვათ ჩვენი ბედკრული, მრავალ ჭირგამოვლილი ქვეყანა.

თქვენ ბრწყინვალედ მოგეხსენებათ, საქართველოს ტრადიციებს, იდენტობას, ჩვენი სახელოვანი წინაპრები სიცოცხლის ფასად იცავდნენ. ივნისში, როცა სულწაწყმედილები ლგბტ-აღლუმის ჩატარებას აპირებდნენ ქალაქის ცენტრალურ გამზირზე, მართლმორწმუნე ახალგაზრდების სახით ვიხილეთ წინაპართა ნაკვალევის გამგრძელებლები. როგორც ღვთის მსახური, ქართველი ერის სახელით გთხოვთ იმ პატიმრების გათავისუფლებას.

ვიტოვებთ იმედს, აბობოქრებულ ოკეანეში არ მიატოვებთ სამშობლოს!

ერის მტრებს არანაირი დათმობა!

ჩვენ გვიცავს ყოვლადწმიდა დედის მადლიანი კალთა, რომელიც გამუდმებით ევედრება თავის ძეს მისი წილხვედრი იბერიის შემწეობისთვის. ნუ შეგვეშინდება დასავლეთის, ოკეანის გაღმელთა და სხვა გარეშე თუ შინაურ მტერთა.

ისტორია მეორდება.

ღმერთმა არ დაუშვას, ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ.

თუ ასე მოხდა, საქართველო აღარ იარსებებს.

ღვთის ძალით, ნუ იყოფინ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# ჯალათის ადგილი ციხეშია! სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს!

6 ოქტომბრის ხალხმრავალი საპროტესტო აქცია რუსთავის #12 დაწესებულებასთან

ჯალათი ციხეში უნდა იჯდეს, ორი აზრი არ არსებობს. თუმცა საქართველოში არსებობს, ჯალათზე ამბობენ, ის გმირია, ციხიდან უნდა გამოვუშვათო. რაიონებიდან ხალხიც კი ჩამოიყვანეს თავისუფლების მოედანზე, მიშა სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთო. ვერ გაათავისუფლეს, სოფლებიდან პენსიონერების ჩამოყვანით ჩე გევარები ვერ იქმნებიან.

დიახ, საქართველოში კი არსებობს ორი აზრი, მაგრამ ჯალათი მაინც ციხეში რჩება და როგორც ვატყობთ, დიდი ხნით დარჩება. უნდა დარჩეს, ამას ითხოვენ სააკაშვილის მიერ ნაწამები ადამიანები და სააკაშვილის მიერ დახოცილ ადამიანთა სულები!

16 ოქტომბერს, დილით, 10 საათზე სულხან მოლაშვილის ძმამ, თორნიკე მოლაშვილმა და სხვა ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, ასევე დაზარალებულებმა გამართეს საგანგებო ბრიფინგი. ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს, მისულიყვნენ რუსთავის მე-12 დაწესებულებასთან (სადაც ჯალათი მიხეილ სააკაშვილი იხდის სასჯელს) და ხმამაღლა ეთქვათ, რომ მკვლელს უნდა მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა!

დიახ, საკაშვილს უნდა მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა, ამას ითხოვენ მისი რეჟიმის მიერ ნაწამები ადამიანები!

ასევე, უნდა აიკრძალოს „ნაციონალური'' მოძრაობა, როგორც გერმანიაში აიკრძალა იგივე დასახელების პარტია. საქართველოში განუბაჟებლად შემოსულმა სააკაშვილმა ტაქტიკა შეცვალა - მას შემდეგ, რაც თავისუფლების მოედანზე ჩამოყვანილი ხალხი დაინახა, დიდ შერიგებაზე დაიწყო ლაპარაკი, შევრიგდეთ, რევანში არ მომაწყობინოთ, ამის გაკეთება არ მინდაო. სააკაშვილთან მხოლოდ დიდ ვირეშმაკობაზე შეიძლება ლაპარაკი, რა შერიგება? ამავე დროს, „ნაცებმა'' დაიწყეს უნიჭო პროპაგანდა თავიანთი ბელადის გმირად შერაცხვის თაობაზედ. თორნიკე მოლაშვილის თქმით, კრიმინალი ვერასოდეს გახდება გმირი, ჯალათის ადგილი არის ციხეში:

„გეგმებს აწყობს, თვითონ ხომ ააშენა საქართველო და თვითონ ხომ აგვაყვავა, ამდენი ხალხი ჩახოცა და გაამწარა, ახლა თურმე ისევ აპირებს. ხალხი შეცდომაში ჰყავდათ შეყვანილი, ვითომ ააშენა, ვითომ ბევრი რამ გააკეთა - სისხლის, სიკვდილის და ცრემლების ფასად გააკეთა ყველაფერი. მიხარია, რომ საქართველოში ვართ ამდენი ადამიანი, ვისაც გვაქვს იმის უნარი, გავარჩიოთ შავი და თეთრი''.

სიმართლე გითხრათ, ამდენ ხალხს არ ველოდი მიხოს საკნის მიმდებარედ. ერთხელ დაწერეს „ფეისბუკში'' და ეგრევე გადაივსო იქაურობა. ეს იყო სპონტანური შეკრება. თუმცა ჭუტას არხმა („ტვ პირველი''), აქცია „ქართული ოცნების'' ახალგაზრდული ფრთის მიერ არის ორგანიზებულიო. ოღონდ არ დაუკონკრეტებიათ, ვინ იყო ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი, თორნიკე მოლაშვილი თუ ია მეტრეველი. მე მესმის „ჭუტავიზიის'', როცა პატრონი ავთო გყავს ჭაბუკი, ყველა გეჩვენება ჭაბუკად და მით უფრო ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლად.

აქციაზე ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ რეპრესირებული ადამიანები, ნაწვალებნი და ნატანჯნი. როგორც ლანა ქადაგიშვილმა თქვა, მისი ოჯახის ყველა წევრი მიხეილ სააკაშვილმა რეპრესიების პირველი ტალღის დროს დააპატიმრა:

„მან დაიჭირა ჩემი მეუღლე და შვილი, მეორე შვილმა გაქცევა მოასწრო. მე, დიასახლისი ქალი იმისთვის დამიჭირა, რომ ვცდილობდი მტკიცებულებების მოპოვებას, ისინი დამნაშავეები არ იყვნენ. 5 წელი მამყოფა ტანჯვა-წამებაში. ორთაჭალის ციხეში, რომელსაც მხოლოდ გისოსები ჰქონდა, ფანჯარა და მინა არ ჰქონდა! 10 გრადუს ყინვაში პალტოებით ვიწექით, დაბანა ჩვენთვის არ იყო და საჭმელი, ერთმანეთს ვერ ველაპარაკებოდით, კამერაში 40 კაცი ვისხედით. ისეთი წამება გამომატარა, 33 კილო დავიკელი. ვერ მიაღწიეს იმას, რომ ჩემგან რამე ჩვენება მიეღოთ. ჩემი შვილი, აჩიკო ბანკის მმართველი იყო. სააკაშვილის „ვარდების რევოლუცია" რომ არ დავაფინანსეთ, ამის გამო 20 მილიონ დოლარს მთხოვდა მათ გათავისუფლებაში. როგორ უნდა გადამეხადა 20 მილიონი?! თვალით არ მქონდა სიცოცხლეში 1 მილიონი ნანახი. ისე აწამეს აჩიკო, B ჰეპატიტი შეყარეს. 7 „კანონიერი ქურდი" მოაგროვეს სხვადასხვა ციხიდან და შეიყვანეს მის და ჩემი მეუღლის საკანში, ფულს თხოვდნენ, ეს სააკაშვილის და ციხის უფროსის გარეშე არ ხდებოდა. ჩემს მეუღლეს შვილის მოკვლით ემუქრებოდნენ. როდესაც ჩემმა მეუღლემ შვილის გადასარჩენად გაიბრძოლა, თავი გაუხეთქეს. ჩემი შვილი B ჰეპატიტით გარდაიცვალა, ძლიერ ნაწამები, ნაცემი, ნაბეგვი. ველარც მეუღლემ იცოცხლა, მალე გარდაიცვალა. ე.წ. პრეზიდენტო, გირჩევნია ციხეში იყო, გარეთ გამოსულს არავინ გაცოცხლებს! ხედავ, რამდენი ხალხია?! ერთი ადამიანი გამოჩნდება მაინც, რომელიც დაგასამარებს, მეც არ მოგეშვები! ჩემი აჩიკოს სიცოცხლის ხელყოფას არ გაპატიებ''!

ყოფილი პოლიტპატიმარი დავით ლაზარიშვილი: „მიხეილ სააკაშვილო, რა გაპატიოთ? გურამ შარაძის მკვლელობა გაპატიოთ? ია მეტრეველის შვილის მკვლელობა გაპატიოთ

თუ რა გაპატიოთ, ამდენი ხალხის მკვლელობა? ის, რომ ქვეყანა გაყიდე?! რა გმირი ხარ? გამყიდველი გმირი ხარ, მეტი არავინ''!

ასეთი რამდენია საქართველოში? ბევრი, 350 ათასი, ალბათ მეტიც, აქ არ იგულისხმება გარდაცვლილები. ამ 350 ათასს ჰყავს (ჰყავდა) ოჯახი, რომელთა რაოდენობა უნდა გავამრავლოთ საშუალოდ სამზე. 350 ათასი გამწარებული ოჯახი ნიშნავს მილიონზე მეტ ადამიანს. დავით ლაზარიშვილისა არ იყოს, რა უნდა ვაპატიოთ? როგორ უნდა ვაპატიოთ? ან რატომ უნდა ვაპატიოთ? ან კი გვთხოვს ვინმე პატიებას? არა, პირიქით, თუ ციხიდან გამომიშვებთა და მოქალაქეობას მომანიჭებთ, იქით გაპატიებთო!

მეტიც, ყველას მოუწოდებს, 30-ში გამოდით, თქვენი ხმები დაიცავით და გამათავისუფლეთო. ემიგრანტებს ეხვეწება, ერთი კვირით მაინც ჩამოდითო. აჰა, ჩამოდით, ძალაუფლება მომაპოვებინეთ და ისევ წადითო. არ ეუბნება, დარჩით, მოგხედავთ, სამსახურებს მოგცემთო. უკვე გადააგდო ემიგრანტები, ამ უბედურმა.

როგორ ეძახიან ამას, ბატონო პრეზიდენტოო?! ეს არის მიხეილ განუბაჟებელი, ტრაილერით შემოპარული! - განაცხადა შალვა კუჭაშვილმა, „ნაცთა'' დაუძინებელმა ახალგაზრდა მტერმა. მომწონს ეს ბიჭი, „იდეინი'' ტიპია.

**გია გოგოხია:** „მე მიშამ დამმართა კიბო, მეოთხე სტადია... მაწამა და დღეს მოვედი იმისთვის, შეიძლება ეს ბოლო მოსვლა იყოს ჩემი, მაგრამ მაინც სიხარულით მივდივარ ამ ქვეყნიდან, თუ ცოცხალი დავრჩი, მიშას პირადად გავუსწორდები. შეიყვანონ ნარკოლოგი მაგის კამერაში ტელევიზიებთან ერთად, როგორ შიმშილობს და რა თაფლი უნდა, ნახავს მთელი მსოფლიო. „ლომკაშია'' ეგ კაცი, ნახეთ, ხალხო, ეს არი ნაძირალა მორფინისტი''!

**ტრისტან წითელაშვილი:** „2008 წელს ჩემ სახლში სპეცოპერაცია ჩაატარეს, ჩემს პატარა ბიჭს წიხლი ამოარტყეს, კიბიდან გადმოაგდეს, ის დღემდე სავარძელშია, პარალიზებულია. როგორ გგონიათ, ამას სააკაშვილს ვაპატიებ''?!

**გიორგი გურგულია:** „ადამიანის ყოფნა ციხეში ალბათ არავის უხარია, მაგრამ ადამიანი, რომელიც არის ერის მოღალატე, ტერიტორიების გამცემი, არის მკვლელი, აუცილებლად უნდა გასამართლდეს''!

რაღა დაგიმალოთ და...ამ ყველაფრის შემყურეს ძალიან დამიმძიმდა გული. ვინც აქციას ტელევიზიით უყურეთ, ყველას დაგეუფლებოდათ აღშფოთება, სინანული და სამართლიანობის აღდგენის სურვილი. ალბათ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რას გადავურჩით 2012 წელს და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჯალათები ისევ ლამობენ მობრუნებას.

„მიშა, შენ ვერასოდეს გათავისუფლდები, ექვსი წელი ძალიან ცოტაა შენთვის''! - თქვა 2009 წელს მოკლული პოლკოვნიკის, გია კრიალაშვილის დამ, ლია კრიალაშვილმა.




**ქალბატონმა ლიამ გიული ალასანიას მიმართა:**

„იმ დღეს ამბობდი, ჩემი შვილი უდანაშაულოაო. თურმე შვილის სუნთქვის მოსმენაც გაკმაყოფილებს, დედაჩემსაც უნდოდა თავისი შვილის სუნთქვის მოსმენა. უსინდისო ხარ შენ, გიული ალასანია. ნამდვილად არ მიკვირს, შენი შვილი ასეთი რომ გაიზარდა''!

აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ნანა კაკაბაძემ. მისი თქმით, ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს და დამნაშავე სააკაშვილმა სასჯელი ბოლომდე მოიხადოს. მან პასუხი უნდა აგოს ყველა დანაშაულზე.

აქციის მონაწილეების მოთხოვნა საზოგადოებას გააცნო თორნიკე მოლაშვილმა: „აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა''! მიხეილ სააკაშვილს მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა, ის არ არის თავისუფლების ღირსი! ამან არც ოჯახის ფასი იცის, არც მეგობრის, ამას უნდა, სკამზე იჯდეს და მონები ჰყავდეს, ხალხის წამებით ტკბებოდეს. იქნება ხელმოწერები. „ნაციონალები'' არიან ქვეყნის მოღალატეები''!

ამავე დროს აქციაზე რამოდენიმეჯერ „გაჟღერდა'' საყვედური „ქართული ოცნებისადმი''... რატომ მივიდა საქმე აქამდე? რატომ არ მოეთხოვა პასუხი ყველა დამნაშავეს უფრო ადრე? რატომ დადიან დამნაშავეები გარეთ და რატომ ლამობენ ისინი ხელისუფლებაში მობრუნებას?!

ჩემი აზრით (ბევრი დამეთანხმება), საყვედური სამართლიანია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ზეწოლა, რაც იმ პერიოდში მოდიოდა საერთაშორისო თანამეგობრობიდან. ფაქტია, 2012 წლიდანვე ვერ დაიწყებოდა მასობრივი დაჭერები. თუმცა ვაღიაროთ, ე.წ. კოჰაბიტაცია, ე.წ. შემრიგებლური პოლიტიკა ჩაფლავდა, აქედან მხოლოდ ის გამოვიდა, რომ კრიმინალები გააქტიურდნენ, გათავხედდნენ და აჰა, მათი ბელადი უკვე ციხიდან გეგმავს გადატრიალებას. იმდენი არ აუდგეს თაფლიანი გვერდები, მაგან ვერც გადატრიალება მოაწყოს, ვერც გადმოტრიალება, მაგრამ სურვილის საშუალება ხომ მივეცით?

**ია მეტრეველმა ასე მიმართა ხელისუფლებას:** „ლოიალობას დაანებეთ თავი და ისე მოექეცით ამ დამნაშავე პატიმარს, როგორც ეკუთვნის, როგორც არის კანონის მიხედვით და არა ისე, ფუფუნებაში რომ ბრძანდება და კიდევ პრეტენზიები აქვს''.

სიმართლეს ღაღადებს ქალბატონი ია, სააკაშვილი ფუფუნებაში იხდის სასჯელს. თან აქეთ პრეტენზიები აქვს, ხან ლეიბი მაკლია, ხან კიდევ ხინკლის ჭამა არ მაცალეს, ამ მხეცებმაო. მერე გვიკვირს, საკუთარ თავს დავით აღმაშენებელს, ჯორჯ ვაშიგტონს და ალექსანდრე მაკედონელს რომ ეძახის.

იგივე თქვა ყოფილმა პოლიტპატიმარმა **ზაზა დავითაიამ**. საზოგადოებას მამამისის ბედი შეახსენა თემურ ჟორჟოლიანის შვილმა, ანა ჟორჟოლიანმა.

**თორნიკე მოლაშვილმა მიხეილ სააკაშვილს ირინა ენუქიძის ხმა ჩაურთო:** „როცა ყველაზე ბედნიერი ვიყავი, მე მაშინ მომკლეს''!

კიდევ ის ჩაურთო... „კასტილიანი'' პატიმარს რომ ხმარობს... და მართლაც, ამას ეძახიან მესამე პრეზიდენტს? ამას, ამ ავადმყოფს? ეს გვეუბნება, დამაბრუნეთ და ყველაფერს გაპატიებთო? ეს გვპირდება, რევანში არ იქნებაო?!

ვერა!

არა!

ე.წ. შერიგება და პატიება არ იქნება!!!

ვეთანხმები მეუფე დიმიტრის, შერიგება რომ შედგეს, ჯერ მტანჯველმა უნდა მოინანიოს და პატიება ითხოვოს.

მიხეილი არც ინანიებს და არც პატიებას ითხოვს, ის მხოლოდ სავარძელს ითხოვს, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის სავარძელს. აუჩემებია, სამშობლო მეღუპება, უნდა გადავარჩინოო.

სხვათა შორის, იყო ერთი ასეთი კაცი ჩემ სოფელში... სულ ფიქრობდა, რომ მისი სამშობლო იღუპებოდა და ხსნა ალაზანში იყო. მისი აზრით, სანამ ალაზანი ქიზიყის სოფლებზე არ გადმოივლიდა, მანამდე არ გვეშველებოდა. ის ყოველ დილით აკეთებდა ე.წ. შემოვლას რამდენიმე სოფლის მასშტაბით და ყოველ შემხვედრს ეკითხებოდა: უკაცრავად, აქეთ ალაზან ხო არ ჩამოუვლია, პატივცემულო? არაო, ეტყოდნენ... ხელს ჩაიქნევდა, თავსაც გადააქნევ-გადმოაქნევდა და გაუდგებოდა ხოლმე თავის გზასა. ესეც ეგრეა, ეს უბედური, ოღონდ ერთი განსხვავებაა, ეს ველარ გაუდგება ხოლმე გზასა, ზის და ილოკავს თაფლიან თითსა. თან იძახის, ვშიმშილობო. კაცობრიობას არ ახსოვს, ადამიანმა 7 კილო თაფლი მოიმარაგოს და თან შიმშილობდეს.

ასე რომ... მიხო, შენ მაშინ გეშველება, შენ მაშინ მოხვალ ხელისუფლებაში, როცა ალაზანი ქიზიყის სოფლებში შემოდინდება!

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

### 14 ოქტომბერი 2021 წლისა, 21-ე საუკუნისა

ოთხ-ხუთ „მანქნიან“’კოლონებს ყოველი მუნიციპალიტეტიდან მხურვალედ აცილებდნენ ცოცხიანი ადამიანები, იდგნენ გზის პირებზე და იქნევდნენ ვითარცა დროშებს. მე პირადად მომეწონა, აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, ამიტომ თქვენც გიზიარებთ. ნამდვილად კარგი მიგნებაა, თუ ამ აფრაკებს თავიანთ ენაზე არ ველაპარაკეთ, არაფერი გამოვა, ამათ სხვა ენა არ ესმით!

ბაჩუკი ქარდავა მეთაურობდა აბაშელ მამულიშვილთა კოლონას... აბა, რა ეგონა ამ ხელისუფლებასო? მოვდივართ და დაგვხვდითო, ეს ხალხი ყველანაირი ბრძოლისთვის მზად არისო. ყველანაირისთვისო, გეყურებათ? აშკარად რევოლუცია ჩაიფიქრეს, რომელსაც ორი „მთავარსარდელი“ ჰყავს, ერთი ციხეში, მეორე — ნიუ-იორკში. სააკაშვილსა და ბიძამის ალასანიაზე მოგახსენებთ.

### აუცილებელი გადახვევა

ქართველო ერო!

გახსოვს, ორმა ნაძირალამ (ბიძა-დიშვილმა) როგორ შეურაცხგყო?!

ვიცი, რომ გახსოვს, მაგრამ მაინც შეგახსენებ:

თემურ ალასანიამ, ყოფილმა „კაგებეშნიკმა“ და ამჟამად ბებერმა „ფეესბეშნიკმა“’შენზე თქვა (თავის დამპალ დიშვილს უთხრა):

თემურ ალასანია — ეს ავადმყოფი ერია, სანამ ამათ არ დააჯვამ თავზე და სანამ დედას არ მოუტყნავ, ვერ იგებენ ვერაფერს!

მიხეილ სააკაშვილი — ეგრე იყო ეს ხალხი მთელი ცხოვრება.



თემურ ალასანია — მაგათი დედა მოვტყან მე ქართველების, „პროსტა’’. ქართველების დედა მოვტყან. ვინ არიან ესენი, ტოოო. ეს ავადმყოფი ერი ვინ არი, ტოოო!!!

ქართველო ერის ნაწილო, ოცდახუთო თუ ოცდაათო პროცენტო, ამის შემდეგ შენ წახვედი და ამ მართლა ავადმყოფების დაქვემდებარებაში მყოფი პარტია შემოხაზე?!

არა, მე დარწმუნებული ვარ, შენ არ ხარ არც ოცდახუთი და არც ოცდაათი პროცენტი, შენ ხარ სულ რაღაც შვიდი-რვა პროცენტი, მაგრამ ბიძა-დიშვილს შორის ასეთი დიალოგის შემდეგ მაინც როგორ ხარ ამდენი?!

კარგად გაიგონე?

დიახ, შენ მოგმართავ, სწორედ შენ, ახლა რომ კითხულობ, კარგად გაიგონე, რას ამბობენ? სანამ თავზე არ დაა..ამ და დედას არ მოუ..ნავ, მაგათ არაფერი ეშველებათო.

ქართველო ერო!

შენ ამ ორმა ნაძირალამ თავის ამფსონებთან ერთად სულში ჩაგაფურთხა!

ესა, ეს დამპალი ახლა ციხეში რომ გდია და დღეში ცხრაჯერ ღნავის, სწორედ მაგიტომ შემოეთრა განუბაჟებლად, შენთვის დედა უნდა მოე..ნა, მაგრამ არ გამოუვიდა. არც გამოუვა. მაგას და მაგის ქოფაკ ბიძას, ნიუ-იორკში რომ გადაუდვია ფეხი ფეხზე და აქედან გატანილ უზალთუნებს ითვლის!

***

„სააკაშვილი ჩამოვიდა ერთადერთი მიზეზით — რომ მოეხდინა დესტაბილიზაცია, არეულობა და მოეწყო მძიმე პროვოკაციები. მადლობა ღმერთს, ჩვენ ეს დიდი განსაცდელი ავარიდეთ ქვეყანას“, — განაცხადა მცხეთაში ყოფნისას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. იმ დღეს (14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობა იყო, გფარავდეთ უფალი). რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა დრო იხელთეს და პრემიერს უამრავი შეკითხვა დაუსვეს, ოღონდ ასე: ბატონო ირაკლი... აუ, ჰიუ, ჰამ, ჰამ, ჰამ, სააკაშვილი, ბუმ, ბუმ, ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ, ცოცხი, კასტილი, ნუუუუ?!

ღარიბაშვილმა უპასუხა: პროვოკატორებს არაფერი გამოუვათ, ტყუილად წვალობენ და საერთოდ, არ მინდა, პატიმარზე ბევრი ვილაპარაკოთ, რაც ითქვა, ეგეც საკმარისზე მეტიაო.

ჟურნალისტები არ მოეშვნენ, ისევ ატყდნენ, ჰაუ, ჰაუ, ბატი-ბუტი, ამბობენ, გადადგომას გიპირობენო.

ღარიბაშვილმა უპასუხა: მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ჩვენი გუნდიდან არაერთი განცხადება გაკეთდა, თქვენ მაინც აგრძელებთ პროვოკაციასო... და გუშინ რომ გადავდექი, ვერ გაიგეთო?

ჟურნალისტები ვერ დაოკდნენ, პრემიერს გამოეკიდნენ, ბატონო ირაკლი, ბატონო ირაკლი, ბატონო ირაკლიო!

„კალბასში“ ტუალეტის ქაღალდს და ჯორის ხორცს ურევდაო. ჰოდა, ამან, ამ ზეიკიძემ ასეთი „ბრძნული“ რამე დაწერა:

2003 წელს აქ ვიდექი, მე რომ მეგონა, მოვიდოდა მთავრობა, განვითარდებოდა ქვეყანა, ისევ უკან დავბრუნდით. უკან დაბრუნება რომ არ მინდა, იმიტომ მოვედი აქ.

„ყველანაირი წყენა უნდა დავივიწყოთ. გვერდზე გადავდოთ ჩვენი ნეგატიური ემოციების ტვირთი, რადგან ამის მოშორების გარეშე ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა, ერთმანეთზე გაბოროტებულ საზოგადოებას არასდროს დაუყენებია პროგრესის გზაზე საკუთარი ქვეყანა, არასდროს შეუქმნია



# გაცოცხილები




„ფორმულამ“, „ტვ პირველმა“’და „მთავარმა“’გამოაცხადეს, ღარიბაშვილმა მცხეთაში სკანდალური განცხადებები გააკეთაო, სააკაშვილს ძალიან მძიმე ბრალდებებს უყენებსო. დიახ, სწორედაც რომ სკანდალური განცხადებები გააკეთა პრემიერ-მინისტრმაო, დაეთანხმა „საზოგადოებრივიდან“ „რუსთავორზე“ გადაქაჩულ და შემდეგ „ფორმულაზე“ გადაიმასქნებულ გურამ როგავას სპეციალური კორესპონდენტი გოგონა მცხეთიდან.

რა სკანდალური, რი ატმი კურკა? ეგეთი ზომიერი ღარიბაშვილი არასოდეს მინახავს. ეს ერთი და მეორეც — რა არის ახალი იმაში, რომ სააკაშვილი ქვეყნის ასარევად და პროვოკაციების მოსაწყობად ჩამოვიდა? რა — არა?!

დავით ზეიკიძე გახსოვთ? შევარდნაძის დროს შს მინისტრის მოადგილეც რომ იყო, თბილისის მთავარი პოლიცმაისტერიც და მერე 2-ლარიანი „კალბასის“ გამოშვებაც რომ დაიწყო. მე არ ვიცი, პირადად არ შევსწრებივარ, მაგრამ ავი ენები ამბობენ,

ჰა, ჰა, ჰა... უკან დაბრუნება არ მინდაო, იძახის შევარდნაძის პოლიცმაისტერი. არადა, უნდა კი არა, ლოცულობს, ნეტავ, ისევ იმ დროში დამაბრუნაო. 2-ლარიან ზეიკიძეს ცალკე მივხედავ, ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ ტყვეობიდან მიხეილ სააკაშვილის დახსნის ამბავს, აქციას, უნიჭო შოუს.

კრება შესავალი ე.წ. სიმღერით გახსნა ლექს-სენმა. ჭინთვას რომ მორჩა, გამოაცხადა, „მე ამდენი ხალხი, კაცი დავყ...ევდი და ამ მოედანზე არ მახსოვს’’-ო“. რას ერჩით? ტიპი მიხვდა, რაც დაემართა, სხვებიც მის მდგომარეობაში არიან, მაგრამ ისინი ჯერაც ვერ ხვდებიან. მე პირადად ვაფასებ ამ გამო...ვებულის გულწრფელობას.

ღმერთო, დიდებულო, ერთდროულად ამდენი სისულელე არ მომისმენია, არც ამდენი სულელი მინახავს ერთად შეკრებილი.

გვარამიამ პუბლიკას წაუკითხა მიხეილ სააკაშვილის მიმართვა: მოგესალმებით სამარტოო საკნიდან ტელეეკრანის შემყურე... შემდეგ ბლა-ბლა-ბლა (სტილი დაცულია):

ფასეული და ყოველთვის დამარცხებულა საკუთარ ბრაზთან და აგრესიასთან. ცივილიზებული ქვეყანა ვერ იქნება დაფუძნებული შუღლზე და თუ ჩვენ გვინდა ცივილიზებული ქვეყანა, მაშინ აუცილებლად გვჭირდება დიდი შერიგება და უარი რევანშსა და შურისძიებაზე. გვეყოფა მარცხი, ძირს ხელჩამოშვებულება და ნიჰილიზმი.

ჩვენ გვჭირდება დიდი შერიგება და უარის თქმა რევანშეზეო. გესმით? იქით გვეუბნება, თუ შევრიგდებით, რევანში არ იქნებაო. რა რევანშზე ლაპარაკობს? ხელისუფლებაში რომ მოვა, იმაზე. გვამშვიდებს, ყველაფერს გაპატიებთ, აღარ გაწამებთო. სასაცილოა, პირდაპირ, ეს გაუგებარი წარმონაქმნი იქით კი არ იხდის ბოდიშს, იქით კი არ იხვეწება, მაპატიეთო, არა, აქეთ გვიყურებს მოწყალე თვალით, თუ კარგად მოიქცევით და შევრიგდებით, აღარ დაისჯებითო.

თბილისის ყოფილი მყვლეფავი, ცნობილი ყაჩაღი გიგი უგულავა კოვიდდავირუსებული მიეთრა აქციაზე და ამანაც

დაიწყო ჭინთვაი საკვირველი (სტილი აქაც დაცულია):

,,ვუსურვოთ მიხეილ სააკაშვილს თავისუფლება. დღეს ის ჩვენზე მეტად თავისუფალია! ოდესღაც, მან 18 წლის წინ, დალია ჩაი, რომელმაც შეცვალა ამ ქვეყნის ისტორია. დღეს მას არ აცადეს ხინკლის ჭამა. ის აუცილებლად შეჭამს თავის კუთვნილ ხინკალს და თქვენ დაგრჩებათ ...თუ რამე თავიდან ვერ, ან არ გავაკეთეთ თავის დროზე, დღევანდელი დღე იყოს პატიების დღე, ამავე დროს დიდი გამარჯვების დასაწყისი. პატიება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც გავიმარჯვებთ! გამარჯვებაზე გადის პატიებაც, თავისუფლება, კეთილდღეობაც და ამ ქვეყნის მომავალი!

ესეც გვპატიობს, ეს ჩემისა, ოღონდ მაშინ, როცა გაიმარჯვებს, მანამდე ვერა!

არა, თუ თქვენ მანამდე გინდათ პატიება, ეგრე არ გამოვა, აბა, რანაირად, როცა გამარჯვებაზე გადის პატიებაც, თავისუფლებაც, კეთილდღეობაც და ამ ქვეყნის მომავალიც?!

რაც შეეხება ხინკლის კუჭებს, ამას ,,ნაცმოძრაობაში'' რაღაც საკრალური დატვირთვა აქვს. უგულავამ ანგარიშმიუცემლად წამოაყრანტალა, თორემ მაგათთან ეს თემა ძვირფას საიდუმლოდ ითვლება. გაიხსენეთ, მაგათ აქვთ ე.წ. სერიალი ,,ჩცდ" (,,ჩემი ცოლის დაქალები"), რომლის დედააზრიც მთლიანად აგებულია ხინკლის კუჭებზე. ორი დებილი დაიწყებს კუჭების ბიზნესს, იშოვიან ფულს და შემდეგ ეპოტინებიან ხელისუფლებას. რატომ კუჭები, და არა ასკილის წვენი, ან შავი მაწონი? არა, სანამ ესენი ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ ხელში, მაგნაირი ბიზნესები ჰქონდათ და ბუნებრივია, 2012 წლის შემდეგ ისევ ძველ თემას დაუბრუნდნენ.

სხვათა შორის, მე ძალიან გავბრაზდი კოვიდინფიცირებულ უგულავაზე და სწორედაც ამიტომ მივმართავ როგორც მის ექიმებს, ისე ხელისუფლებას: რათ გამოუშვით აქციაზე? რატომ არ დააბით, ეს ჩემისა? ვერ ხედავთ, რომ ავადაა? ვერ ხედავთ, რომ ბოდავს და ბოდიალობს?!



არა, მართლა ვერ ხედავთ?!

ექიმებმა ნება დამრთესო, მადლობაო. რას ჰქვია, ნება დართეს? ეგეთი წესია? აქაც ჩაწყობა მოსულა? აქაც სხვა კანონები მოქმედებს ამათთვის?!

არადა ტიპი აშკარად ვერ არი... აქ არ არი!

გათოკეთ, წაიყვანეთ, ზოლიანი ხალათი ჩააცვით, ფაფა აჭამეთ, ფისი აქნევინეთ, დამაწყნარებელი ნემსი გაუკეთეთ და დააძინეთ. თუ წინააღმდეგობა გაგიწიოთ, წიხლი ჩააზილეთ!!!

გიჟია ოხერი!

გია ბუღაძე: ,,ხედავთ, რა ქარბორბალა ტრიალებს? რა ჰქვია ამ ქარბორბალას? მიხეილ სააკაშვილი ჰქვია ამას! ეს ცუნამია, რომელიც წალეკავს ამ სიბინძურეს, სიმახინჯეს. ერთი საიდუმლო მინდა ვუთხრა ივანაშვილს: ჯოჯოხეთის კარი ძალიან ფართედ არის ღია, მთელი ქოცისტანი გაუბერე ჯოჯოხეთისკენ, თქვენი ადგილი აქ არ არი!"

ეგე, ხომ გეუბნებოდით, აფერისტები არიან-მეთქი? ამათი ბელადი გვპირდება, გაპატიებთ, ძალაუფლებას რომ გადმოვიბარებ, თითსაც არ დაგაკარებთო და ეს კიდე იძახის, ჯოჯოხეთის კარი ღიაა, ,,დავაი, დაახვიეთ, შეეთრიეთ, თქვენი ადგილი აქ არ არისო".

ისე, ერთ საკითხში ვეთანხმები გამოყ... ევებულ ბუღაძეს, მიხო — ეს არის ,,მუჟჩინა ტაიფუნ", ცუნამი, ქარიშხალი... ცოლები ჩამოუვიდნენ, შვილები ჩამოუვიდნენ, დანარჩენებიც ჩამოუვლენ, ზოგი დღეს ჩამოვა, ზოგი — ხვალ, ზოგი — ზეგ, ზოგი კიდევ შეიძლება საერთოდ არ ჩამოვიდეს, ბევრი ნაწყენია, მარტო ბავშვების კეთება ხო არ არი, კაცო? იმათ მიხედვა და პატრონობა უნდათ. ავი ენები იძახიან, მიხო ალიმენტებსაც არ იხდისო. ავი ენები იმასაც ამბობენ, სოფო ნიჟარაძეა იმნაირად გაბრაზებული, შეიძლება სააკაშვილს საკანში მაგარი სკეტჩი დაუდგასო. მეო, ნიუ-იორკში ვცხოვრობდი მაგის სახლშიო, ბიძამისმა შემიშვაო, ველოდებოდი, უნდა ჩამოსულიყო და ცოლად მოვეყვანეო... ეს ლიზა ვინ არი, არ ვიცი, საიდან გამოჩნდა, თურმე ამას უკრაინაში ოჯახიც შეუქმნიაო. ერთი რა მაგის პასუხია და... ალანა გაგლოევა სად არი, რატომ არ მოიკითხავთ? რა ვიცი, რა ვიცი!



ეს სანდრა კიდევ ზის და ველღარ გაუგია, მიხოს რამდენი ცოლი ჰყავს... ველღარ გარკვეულა, რომელ წყალს უნდა მისცეს თავი.

***

ამასობაში მელიაც გამოჩნდა აქციაზე და თქვა (თავისი ჭკუით) მაგარი სიტყვა:

,,მთავარი მინდა ასევე ვთქვა, არ ვხუმრობთ, ბიძინა ივანიშვილო, ჩვენ უკან დამხევები არ ვართ სიცოცხლის ფასადაც კი. როდესაც სახლებში წავალთ და დავბრუნდებით, იმდენად მოწყვლად გეოპოლიტიკურ კონტექსტში ვართ, არ ვიცით, დილის 8:00 საათზე რომ გავიღვიძებთ, ამ ქვეყანაში ქართული დროშა იფრიალებს თუ არა. თბილისის ცენტრიდან 40 კილომეტრში რუსული ტანკია, მაგრამ უკვე შემოსული არიან, რუსეთის ფედერაციის საცეცები, სახელისუფლებო ყველა შტოში.

ბრიყვია, ეს უბედური, თავის საზიანოს ლაპარაკობს და ამასაც ვერ ხვდება... კი, მაგრამ თბილისიდან 40 კილომეტრში ვინ შემოიყვანა რუსის ტანკები? კოდორის ხეობას ვინ შეუცვალა სახელი, ვინ დაარქვა ზემო აფხაზეთი და მიჰყიდა რუსებს? ეს უდღეური ახლა ცდილობს, ყველაფერი ივანიშვილს გადააბრალოს. თან იმუქრება, ციხეში რომ ჩაგსვამთ, ჩვენ არ დაგცინებთო. ამათი ჩასასმელი ბიძინა სად არი?!




ნიკანორმა აღნიშნა, ბელადმა დაგვიბარა, აქციაზე ჭირისუფლობა და მწუხრი არ იყოსო, დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცესო. ჩემი ცოლის ბებია გამახსენდა, 99 წლისა გარდაიცვალა, ანდერძი დატოვა — ტირილი, ღმუილი, მოთქმა, გოდება, კიკინების გაშლა და ეგეთი რაღაცები არ იყოს, დოლ-გარმონიანი კაცები მაიყვათ და მუზიკით გამაცილეთო. არა, მე მიხოს სიკვდილი ნამდვილად არ მინდა, ის უნდა იჯდეს და ლოკოს საკუთარი თითები, უნდა თაფლიანი, უნდა — ნეხვიანი. ისე, მაგისი თაფლიანი თითიც ნეხვიანია. ჰოდა, იმას ვამბობდი, მიხოს თხოვნა ძალიან ჰგავს ჩემი ცოლის ბებიის თხოვნას, ემანდ მწუხრი არ ჩამააგდოთ, დასცხეთ დოლსა, გასწით გარმონიო. დასცხეს კიდევაც ლექს-სენებმა, ჭოხონელიძეებმა, წურწუმიებმა... თუმცა ერთი შენიშვნა მაქვს: ვინაიდან ამათი ნამღერები სატირალია, ამ კუთხით ზეიმი არ გამოვიდა. წურწუმიას და დანარჩენებს რომ მოუსმენ, უნდა დაჯდე და იტირო, მიხოს კიდევა ბრძოლის ყიჟინა უნდოდა:

,,მიხეილ სააკაშვილის თხოვნა იყო, რომ არ გვინდა ჭირისუფლობა, არ გვინდა მწუხრი, ბრძოლის ყიჟინა გვინდა ცივილიზებული ფორმით. სიმღერაც იყოს, დროშაც ფრიალებდეს, ღიმილიც იყოს, ბედნიერებაც იყოს, იმიტომ, რომ ჩვენ ხელისგაწვდენის მანძილზე გამარჯვება გველოდება, რომელსაც არ გავატანთ ბიძინა ივანიშვილს.

ხედავთ, როგორი პრინციპულები არიან? ან სიკვდილი, ან გამარჯვება კი არა... ან გამარჯვება, ან — არაფერი!

ვინმე ხომ არ გამომრჩა? ვინმემ ხომ არ თქვა ძალზედ ,,მნიშვნელოვანი" სიტყვა და მე ყურადღება ვერ მივაქციე? დამაცადეთ, გავიხსენებ... ჰო, კობა ნაყოფიამ წარმოსთქვა გულისამაჩუყებელი სიტყვა: ,,მე მიშას ვუთხარი, რომ შიმშილობა სიცოცხლისთვის არის საშიში. მან მიპასუხა, რა დროს ჩემი სიცოცხლეა, როდესაც ჩვენ ქვეყანას ვკარგავთო, როდესაც ჩვენი ქვეყანა იღუპებაო. აი, ასეთი გმირია ის!"

აი, ასეთი გმირიაო, თქვა კობა ნაყოფიამ და გაწითლდა ტურის პროჭივით. საერთოდ ეგეთი ფერი აქვს, მაგრამ ახლა ნამეტანი მოუვიდა.

მიშა მშვილდაძე იყო ,,საინტერესო" სანახავი, ეს უბედური ესა — გამოვიდა, სიტყვა ვერ თქვა, დორბლი გადაუცდა, ახველა, აფურთხა, რაღაცა უნდა ვაციტიროო, ხეირიანად ვერ აციტირა, ვერავინ გაიგო, რა უნდოდა. უნდა გაფორმდესო... ისევ ახველა, იფურთხა, თავისი ბელადისთვის და ჩემეეთრა სცენიდან.

სამწუხაროდ... თაკო არ გამოიყვანეს, ჩარკვიანი, სიტყვა არ ათქმევინეს. ჰმ... ამას დაიმახსოვრებს თაკო, არც ეგრეა საქმე. გუბაზი არ იყოსავით... არც გია ბარამიძე გამოიყვანეს.

## დაბოლოს!

ცხელი ამბები სანაცეთიდან: კულუარულად ამბობენ, სააკაშვილი მაინც უკმაყოფილო დარჩა და ციხიდან ბრძანებაც გამოაგზავნაო. კერძოდაო... მეორე ტურის შემდეგ მელია უნდა გადადგეს და პარტიის თავმჯდომარედ ჩემი შვილი ედუარდი დაინიშნოსო. თურმე ამიტომაც მიეთრა აქციაზე ნიკანორი ბოლოს და რა იბოდიალა, კაცმა არ იცის.

კიდევ ერთი... 14 ოქტომბრის აქცია რუსულმა არხმა ,,ერ ტე ერ"-მა პირდაპირ ეთერში გადასცა. თქვენ ოდესმე გახსოვთ, ,,ქართული ოცნების" აქცია ან რაიმე ღონისძიება გადაეცეს რუსეთის რომელიმე არხს? ესე იგი, ნაცები ამტკიცებენ, სააკაშვილი პუტინის პატიმარიაო, ამავე დროს პუტინს დაქვემდებარებული არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს ამათ აქციას და თან ამტკიცებს, თბილისში 100 ათასი კაცი გამოვიდაო. ეს როგორ ხდება? — გვეკითხება ამოცანა. როგორ ხდება, მეგობრებო და... გრიგოლ ვაშაძის ამბავი ხომ გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის ,,პიარშიკები" რომ ჩამოუყვანეს და რუსეთის აგენტს კიდე სალომე ზურაბიშვილს ეძახდნენ. ახლაც ეგ მომენტია!

14-მა ოქტომბერმაც ჩაიარა, 30 ოქტომბერიც ჩაივლის, 7 ნოემბერიც მოვა, 23 ნოემბერიც დაგვიდგება (გიორგობა), ახალი წელიც, თოვლიც ჩამოიყრება, გამოზაფხულდება, ზაფხულიც იქნება, დაცხება, დედამიწას ბულიც აუვა, მერე აშემოდგომავდება და ესენი მაინც ვერაფერს მიაღწევენ, ვერავის გადაულუნავენ. აგერ ვარ მე, აგერ ხართ თქვენ და აგერ არიან ეგ უჯიშოებიც, მაგასაც ვნახავთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ფარისევლები

## ისინი, ვინც სააკაშვილის ციხიდან გამოშვებას ითხოვენ, ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიაქანებენ



მათ, ვინც სააკაშვილის განთავისუფლებას ითხოვენ, უნდა იცოდნენ ერთი რამ: დღეს, მოცემულ სიტუაციაში, სააკაშვილის ციხიდან გამოშვება ნიშნავს გარდაუვალ სამოქალაქო დაპირისპირებას, დესტაბილიზაციას, ქაოსს, 90-იან წლებში დაბრუნებას.

როგორი ჰუმანური მოტივებითაც არ უნდა იყოს ეს მოთხოვნა ნასაზრდოები, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ კაცთმოყვარეობაზე, მიტევებაზე, პატიებაზე, შერიგებისა და ეროვნული თანხმობის აუცილებლობაზე, ეს არაფერს ცვლის — სააკაშვილის ციხიდან გამოშვება ნიშნავს ერის საბოლოოდ გახლეჩას და ერთმანეთის დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფას.

აი, ამაზე აწერთ ხელს თქვენ, ვინც სააკაშვილის განთავისუფლების პეტიციაზე აწერთ ხელს და გგონიათ, კარგ საქმეს აკეთებთ.

სინამდვილეში, საკუთარ უბედურებას, ქვეყნის პარტახს და ნგრევას აწერთ ხელს თქვენ, რადგან ქარიშხალი, რომლისთვისაც კარების გაღებას აპირებთ, პირველ რიგში, თქვენ მოგიბრუნდებათ უკან ბუმერანგივით და გადაგთელავთ.

შეიძლება ბევრი ვერ აცნობიერებს, თუ რა საფრთხეების შემცველია სააკაშვილის ციხიდან გამოშვება დღეს და გულწრფელად წუხს და განიცდის, რომ ყოფილი პრეზიდენტი საპყრობილეშია გამოკეტილი, მაგრამ ასეთი ადამიანების პარალელურად არსებობენ ძალები, რომლებმაც ზუსტად იციან, რა უბედურება მოჰყვება ამ ნახევრად შეშლილი, ძალაუფლების ფლობის მანიაკალური ინსტინქტებით შეპყრობილი ადამიანის თავისუფლებაზე ყოფნას.

„ნაცმოძრაობისგან", რომელსაც თავისი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები აქვს, სულაც არ არის გასაკვირი, თავიანთი ბელადის გათავისუფლებას რომ ითხოვენ, მაგრამ რა სჭირთ და რა ინტერესები ამოძრავებთ ამ ადამიანებს, რომელთაგან ზოგს მწერალი ჰქვია, ზოგს — მხატვარი, ზოგს — მუსიკოსი, ზოგს — მსახიობი და ხელმოწრებს რომ აგროვებენ „უდანაშაულო" მიშას დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით.

შეუძლებელია, ისინი ვერ ხვდებოდნენ, რა უმართავი პროცესები შეიძლება მოჰყვეს სააკაშვილის გათავისუფლებას.

ერთ კაცს რომ უშველოთ, ამისთვის მთელ ქვეყანას სწირავთ, მთელ საქართველოს უპირებთ ბომბზე შესმას?

ესაა თქვენი პატრიოტიზმი, თქვენი ერისკაცობა და მამულიშვილობა, თქვენი სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბები?

ნაციონალებს ხალხი ნახირად და საზარბაზნე ხორცად მიაჩნიათ, ხოლო ქვეყანა თავიანთი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებელ ასპარეზად, მაგრამ თქვენც ასეთივე ქვებუდანური ინსტინქტებით ცხოვრობთ, პატივცემულებო?

პოეტები გვეგონეთ, მწერლები გვეგონეთ, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრალები გვეგონეთ, თქვენ კიდევ ნაცები ყოფილხართ, თქვე დალოცვილებო?

— შევრიგდეთ. მივუტევოთ ერთმანეთს! — 14 ოქტომბერს ასეთი გზავნილი გამოგვიგზავნა სააკაშვილმა გვარამიას პირით, 15 ოქტომბრის წერილში კი ისევ რევოლუციურ სცენარზე ალაპარაკდა.

მისი ვერაგული და დაუნდობელი ბუნებიდან გამომდინარე, სააკაშვილთან შერიგებაზე და მიტევებაზე საუბარს აზრი არ აქვს. მის სიტყვას ვერ ენდობი, ის ჩვეულებრივი თაღლითი და მატყუარაა, რომლისთვისაც ზნეობრივი და მორალური კატეგორიები არ არსებობს.

მისი მორალური სახე კარგად გამოჩნდა იმაშიც, თუ როგორ დაუდგა ცოლების რიგი საკანთან და როგორ ჩააფურთხა სულში სანდრა რულოვსს, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა იგი, როგორც პოლიტიკოსი.

დამნაშავეები, როგორც წესი, დანაშაულის ჩადენის ადგილას ბრუნდებიან ხოლმე.

სააკაშვილის მიზანია, როგორმე დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რადგან ეს ის ადგილია, სადაც მან უამრავი დანაშაული ჩაიდინა.

მისი ავადმყოფური ლტოლვა ხელისუფლებაში დაბრუნებისკენ, იმითაც არის ნაკარნახევი, რომ მას სურს, გაანადგუროს ყველა სამხილი, წაშალოს ყველა კვალი, რაც მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს უკავშირდება.

მართალია, ის უდანაშაულოდ თვლის თავს, მაგრამ, სინამდვილეში, შესანიშნავად იცის, რაც აქვს ჩადენილი და ისიც იცის, რომ, ხვალ იქნება თუ ზეგ, აუცილებლად მოუწევს უმკაცრეს სამსჯავროზე წარდგენა.

სამართალი ურმით დადის, მაგრამ ეს ურემი აუცილებლად წარმოეწევა მასაც, როგორც წამოეწია ვიღაც-ვიღაცებს, ზოგს 70 წლის ასაკში, ზოგს 80 წლის ასაკში, ზოგს — სიკვდილის შემდეგ.

მოდით, ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა სასწაული და სააკაშვილი ციხიდან გამოუშვეს.




რა ხდება ამის შემდეგ?

სააკაშვილი მონასტერში კი არ წავა ცოდვების მოსანანიებლად, ენმ-ის ოფისში წავა, მელიას ჩააჩოჩებს და თვითონ ჩაუდგება სათავეში არეულობის და დესტაბილიზაციის დაწყების გეგმას.

მას ჰყავს მოკავშირე, რომელთანაც ის, კარგა ხანია, ფარულ გარიგებაშია და რომლის წისქვილზეც ასხამდა წყალს მისი ყველა მოქმედება ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ამ მოკავშირეს შორიდან არ მოუწევს მოსვლა — ის აქ არის და, ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რომ პროცესებში ჩაერიოს და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრული კონტროლი დაამყაროს.

ეს ხელსაყრელი მომენტი კი მაშინ დადგება, როცა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყება.

ამ სპეცდავალების შესასრულებლად არის გამოგზავნილი სააკაშვილი საქართველოში, ამიტომ ჩაბარდა იგი ნებაყოფლობით „ტყვედ", თუმცა სცენარის ის მონაკვეთი, რომლის მიხედვითაც ეგონათ, რომ „ტყვედ ჩავარდნილი" სააკაშვილის გამოსახსნელად ასიათასობით განრისხებული ქართველი დაიძვრებოდა რუსთავის ციხისკენ, ჩაფლავდა.

სწორედ ამ ჩაფლავებული სცენარის ამოქაჩვას ცდილობენ ახლა ისინი, ვინც სააკაშვილის ციხიდან გამოშვებას მოითხოვენ.

მათ ჰგონიათ, რომ ის, რისი გაკეთებაც მელიებმა, დეკანოიძეებმა ხოშტარიებმა, ბარამიძეებმა ვერ შეძლეს, ამას ახლა სააკაშვილი გააკეთებს.

ტყუილად გაქვთ ამის იმედი, ნაციონალებო, სააკაშვილი დიდხანს ვერ გამოვა ციხიდან და როცა ის გამოვა, თქვენი პარტია, „ნაცმოძრაობა", უკვე დაშლილი იქნება.

არსებობს ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი რაღაც ძალებმა მოტყუებით ჩამოიყვანეს (ჩამოიტყუეს) საქართველოში, მისცეს ხელშეუხებლობის გარანტიები, დაარწმუნეს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (70-75%) მას უჭერდა მხარს და მისი ჩამოსვლისთანავე მის გვერდით უყოყმანოდ დადგებოდა, რის შემდეგაც „ქართული ოცნება" წინააღმდეგობის გარეშე დათმობდა ხელისუფლებას და სააკაშვილი კვლავ მოვლენათა მთავარ წარმმართველ ძალად მოგველინებოდა.

თუმცა საქართველოში შემოპარულ სააკაშვილს არავინ დახვდა.

იქნება შთაბეჭდილება, რომ რევოლუციის მოსაწყობად ჩამოსული კაცი მამა-შვილი წოწორიებისა და ელგუჯა ცომაიას იმედად ჩამოვიდა.

მაინც ვის შეიძლებოდა სააკაშვილი ასე მწარედ გაეცურებინა, ვინ იყო ყველაზე მეტად დაინტერესებული იმით, რომ მას ცომაიას ბინის გავლით რუსთავის ციხეში ამოეყო თავი?

სააკაშვილმა ბევრს მოაბეზრა თავი. ის დიდი ხანია მსოფლიო პოლიტიკაში იმ ზედმეტ ბარგად იქცა, რომელსაც ადგილი ვერ მოუძებნეს, ბოლოს კი, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რუსთავის №12 „შემნახველ საკანში" „შეენახათ".

ამაზრზენია, როცა ადამიანი ფარისევლობს, მაგრამ ასგზის ამაზრზენია, როცა ფარისევლობს სასულიერო პირი.

სამწუხაროდ, ფარისევლები ქართულ ეკლესიაშიც გვყოლია, რომლებსაც გაუკუღმართებული წარმოდგენა აქვთ თურმე ცოდვის მიტევების და პატიების ფილოსოფიაზე, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების ფუნდამენტია.

მით უმეტეს, დასაგმობია ფარისევლობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელი ქვეყნის უსაფრთხოებას, მშვიდობას, ქვეყნის განვითარების და წინსვლის პერსპექტივა.

ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გასცემს ფარისევლებს — არა აქვს მნიშვნელობა, საერო პირები იქნებიან ისინი თუ სასულიერო, მანამდე კი უნდა შევთანხმდეთ — ურთულესი დრო უდგას საქართველოს — ან გავარღვევთ ამ მოჯადოებულ წრეს და წინ წავალთ, ან უკან, ბნელ და კოშმარულ წარსულში მოგვიწევს დაბრუნება.

ღმერთო, დაიცავი საქართველო ამ განსაცდელისგან!

**„საერთო გაზეთი"**



# მცირე ეპისტოლე ლიხსიქითურთა გასაგონად

## „სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახე“ — ილია



**კობა არაბული**

მივესალმები „ლიხსიქითურ დედას“, — როგორც ვაჟა იტყოდა.

მივესალმები სამეგრელოს. „სამეგრელოში ჩამოვედ და საქართველო ვნახეო“, — როგორც ყველაზე დიდმა ქართველმა ბრძანა. ამ ფრაზაში არის სიმართლე და მითოსური სიცოცხლის იდუმალი ქვეტექსტიც...

სულ მცირე, სამოთხის ერთი მდინარე მაინც ჩამოუდის ამ მხარეს, ჩამოაქვს ურიცხვი სიბრძნე — „მთვარის ნაფშვენი“, „ოქრო-ვერცხლი“ და რწყავს მიწას, როგორც ტიგროსის წყალი ბაბილონს... ან, როგორც „მზის შვილი“ ოქროსთმიანი ფარაონების მიწას — ნილოსი...

ამიტომაც იშვა და ამოიზარდა ამ მადლმოსილ, კურთხეულ მიწაზე ადამიანთა ღვთიური ნიჭი, კულტურისა და ხელოვნების გამორჩეული ენერგია: მწიგნობრობა, მეცნიერება, მედიცინა, ასტროლოგია, მიწისა და ცის საიდუმლოთა ცოდნა და რკინისა და მხვნელის კულტი...

ამიტომაც ჰყავს დღეს ჩვენს სამშობლოს არაერთი სწავლული: პოეტი, მეცნიერი, მკურნალი, საზოგადო მოღვაწე — სამეგრელოდან!

საქართველოს პირველი პრეზიდენტი მეგრელი იყო, რომელმაც ფაქტობრივი თავისუფლება დაუმკვიდრა საქართველოს.

ზვიად გამსახურდია ქართველმა ჯალათებმა მოკლეს, ანუ მოკლეს შინაურმა მტრებმა გარე მტრების მხარდაჭერით.

როგორც ქართველი პოეტი „ორჯერ პოეტია“, ასევე ქართველი ჯალათი ორჯერ ჯალათია, ქართველი ლიბერასტი — ორჯერ ლიბერასტი...

ასეთმა ჯალათმა ლიბერალმა კოსმოპოლიტებმა მოკლეს ილია წინა საუკუნეში და შეიწირეს ბევრი ვინმე ჩვენს დროშიც!

ერთი ასეთი ჯალათი, მესამე პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი, როგორც იქნა, ქართულ ციხეში აღმოჩნდა.

უნდა ვთქვათ, რომ ზვიადის დროს მოპოვებული თავისუფლება — ჩვენი უმამაცესი თაობის სისხლით და სინერგიით, ამ არსებამ მთლიანად გააქრო და გააქარწყლა. მან დაგვაკარგინა XXI საუკუნემდე მოტანილი ისტორიული მიწა-წყალი და საქართველოდან გაყვანილი რუსეთის ჯარი უკან შემოაბრუნა. რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი დანაშაული და ღალატი! რა სასჯელი შეიძლება იყოს ამისი საზღაური?

მას და მის ხროვას, ახლა ქუჩებში რომ დაძრწიან და „თავისუფლება მიშას“ რომ გაჰკივიან, თავისი წილი უდევთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში, როგორც შევარდნაძის „ნიჭიერ“ ავაზაკ „აბიტურიენტებს“...

სააკაშვილი დაუცხრომელი მტერი იყო და არის (და იქნება!) ზვიად გამსახურდიასი და ყველა იმ ტიპის მოღვაწის, რომელთაც სახელმწიფოს აშენება ტრადიციულ-ეროვნულ ცნობიერებასა და ნიადაგზე უნდა.

სააკაშვილი ზვიად გამსახურდიას ცხადი ანტიპოდია, საპირისპირო პოლუსზე მდგარი უარყოფითი ენერგიაა.

●

ისმის კითხვა: მაშ, რა მოხდა? რამ გამოიწვია დასავლეთიდან, სამეგრელოდან მოქალაქეთა ასეთი აღტყინებული მასის „შემოჭრა“ საქართველოს დედაქალაქში სააკაშვილის გამოსახსნელად, თუ მხარდასაჭერად?

რა დაემართა, რა მეხსიერების ამნეზია თუ კოროზია შეეყარა ასეთი კულტურისა და ისტორიის მქონე თემს და ერის ჭირ-ვარამის (ბედისწერის) მცნობელს, რომ ჯალათის სახე და ნაქნარი საქმეები დაავიწყდათ და მას ქომაგობენ?!

ვიმეორებ, ქართველმა ჯალათებმა მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბერძენიშვილების, სარიშვილების, ბოკერია-რამიშვილების იდეოლოგიური საშარდე ხვრელიდან, „ტრუბიდან“ გამომძვრალმა ქილერებმა.

(აქ არ შემიძლია არ ვთქვა: მას, ზვიად გამსახურდიას ბოლომდე იცავდა ხევსური სარანგი, ჩემი უახლოესი ნათესავი, უმამაცესი ვაჟკაცი ვაჟა ჭინჭარაული, ვიდრე ღალატით არ ჩამოაშორეს.

●

მაშ, რა მოხდა? რა დაემართათ მეგრელებს (ზუგდიდელებს) და სხვა ქართველთაც, რომლებიც სააკაშვილის ფანებად იქცნენ? ამ დონის ჯალათი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ტაძრებსა და ისტორიულ მონუმენტებს ებრძოდა, ნერონის და ჰეროსტრატეს მსგავსად, იშვიათი მოვლენაა პოლიტიკის ისტორიაში.

ნუთუ, იმდენად დაებინდა ჩვენ ხალხს გონება, რომ სულ ახლანდელი, გუშინდელი, გუშინწინდელი აღარ ახსოვთ? სისხლით ჩარეცხილი ქუჩები და ჩახოცილი ხალხი, სახურავზე შემოდებული თუ წყალში ჩაკიდული, ყელზე ქვაგამობმული გვამები?!

ნუთუ დაგავიწყდათ „კასრები სამეგრელოს ტყეებიდან“ და ყავარჯნიანი და ცოცხიანი მოძალადე სააკაშვილის ჯალათები?!

რა ტიპის გაუგებარი აგრესიაა ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება — მიმართული საკუთარი ქვეყნის და ხელისუფლების დასანგრევად და გამოწვეული ნაციონალი ფაშისტების მიერ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ვითომ მხატვარი მამა ბულაძის (ცოცხიანი ულვაშებით) ხავილი 14 ოქტომბრის „პარადზე“ იმის მაგალითად, თუ რა ტიპის ფაშისტებს უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება.

ვფიქრობ, 14 ოქტომბერი ქართული ლიბერალური ფაშიზმის კარგი ლუსტრაცია იყო და ის უნდა გააცნობიეროს ერმა, საზოგადოებამ. უნდა მიხვდეს საზოგადოება, თუ რა ნგრევას და სისხლს, რა ანარქიას მოიტანს სააკაშვილის ბრბოს დაბრუნება ხელისუფლებაში.

●

სააკაშვილს ხელისუფლებაში არავინ მოუშვებს, მაგრამ გაკვირვებას იწვევს, მეგრელები რატომ არიან მისი დაბრუნების დაჟინებული მსურველნი?

რა მოუტანა მან, ზოგადად, საქართველოს და, კერძოდ, სამეგრელოს, დაკარგული მიწა-წყლის და ნულოვანი ტოლერანტობის გარდა?

საკუთარი ერის ისტორია და ფსიქოლოგია ისე არავის დაუნგრევია, როგორც ეს სააკაშვილმა და მისმა ვანდალებმა შეძლეს: მწერლობა, აკადემიები, უნივერსიტეტები მიწასთან გაასწორეს, დავით აღმაშენებლის ძეგლიც კი ქალაქგარეთ გაიტანეს და უკუღმა დადგეს.

ახლა ქუჩებში ნაცების მიტინგებზე დეზორიენტირებული თაობა მოძრაობს: განარკომანებული, გაუბედურებული სააკაშვილის რეჟიმის მიერ სულგამოცლილი, „გამოხატვის თავისუფლების“ ჭაობში ჩარჩენილი... ეს მეტად სახიფათო რეალობაა.

●

ნუთუ, თქვენ, ზუგდიდელებს, მართლა გინდათ, რომ თქვენი დიდებული, ტრადიციული, სუფთა ქალაქის მერი სააკაშვილის ცენტურიონი იყოს? ის ბებერი ჯაგი, რომელზეც ჩხართვებიც კი არ სხდებიან და კვრინჩხის ერთი მარცვალიც არ აბია?!

ზუგდიდელებო! როგორ აპირებთ თქვენ მისთვის მხარდაჭერას, ან ის როგორ უშველის თქვენს ქალაქს, ვერ წარმომიდგენია...



მართლა რომ მოვიდეს და დაგიჯდეთ მერად, რა გეშველებათ თქვენ და თქვენს ქალაქს, ამ გამოფიტულ-გამოთაყვანებული მელია-სააკიანცების ხელში?

ერთი თეთრი მელია უკვე ჰყავდა ამ ქვეყანას, ჯერ იმან მოაოხრა სამეგრელო, ახლა გვეჩვენება, რომ არა ეს ორი მელია (უმცროსი და უფროსი) მოუტანს სარგებელს?!

ახლა დიდი კონსტანტინე რომ იყოს ცოცხალი, თუნდაც ლევან გოთუა, რას იტყოდა ამ ორჭოფულ საქციელზე?! ასეთი შეცდომის ნებას არ მისცემდა.

როგორ აგზავნის ის კუთხე, ის მხარე... დედაქალაქში სააკაშვილის პარადებზე სამიტინგოდ საკუთარ მოქალაქეებს, ილიამ დიდი, ნამდვილი საქართველო რომ აღმოაჩინა? გაოცებას და აღშფოთებას იწვევს.

ზუგდიდელები უფრო გონივრულად, უფრო გაბედულად უნდა მოიქცეთ და იმ შესანიშნავ, გონიერ, გაწონასწორებულ თქვენს თანამემამულეს, წოწორიას დაუჭიროთ მხარი და, ეს, ალბათ, ასეც იქნება 30 ოქტომბერს.

არ დავმალავ და იმასაც გეტყვით: ზოგი გაბრაზებული მოქალაქე, ჩვენიანი და თქვენი, ზუგდიდელების პატივისმცემელი, ასეთ რამესაც ამბობს:

„გაანებეთ თავი, თუ ძალიან უნდათ, ჰყავდეთ ეგ მუმიფიცირებული კუმირი და რაც დაემართებათ, თავად ნახავენ, იწვნევენ, როგორ დაენგრევათ თავზე ქალაქი... ეს იქნება მათთვის გაკვეთილი და შეცდომა, რომელსაც სხვა დროს აღარ გაიმეორებენ!“

შესაძლოა, შეიძლებოდეს ამის დაშვება, მაგრამ მოხერხდება შემდგომ, სხვა დროში, ამ შეცდომის (შესაძლოა, კოლაფსის) დაძლევა და გამოსწორება? ძნელი სათქმელია.

●

ამდენად და ამიტომ, ფრთხილად, საქართველოვ, ფრთხილად, სამეგრელოვ!

ამჟამად საქართველო თავისი არსებობის ურთულეს ფაზას გადის, დროის იმ მონაკვეთს, სადაც მტრის მიერ „დამწვარი ხიდები“ და „ბედისწერული უფსკრულებია“ ჩარჩენილი — ერთი რყევა, ერთი შეცდომა და პირდაპირ ჩავიჩეხებით!

სამეგრელოს და დასავლეთს შევახსენებ: აღმოსავლეთმა: ფშავ-ხევსურეთმა, მთიულეთ-გუდამაყარმა, ყაზბეგმა (ხევმა), დუშეთმა, თიანეთმა ეს ბრძოლა ნაცისტებთან პირწმინდად მოიგო (64%!), ანუ ეროვნული დაცვისთვის (მისიისთვის) ბრძოლა „ფრიადზე“ ჩაატარა, როგორც ოდესღაც „ბახტრიონზე“ ასპინძასა და მარტყოფზე!

არ არის ახლა მაშინდელზე ნაკლები ხიფათი?

ამ ბრძოლას (ამ ომს) მოიგებს თბილისი, მოიგებს ქუთაისი, მოიგებს ბათუმი, ფოთი, თელავი, და, რა თქმა უნდა, ზუგდიდიც! ის ისეთი ქალაქია, ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნის“ მულღაზანზარი მგონია!

ხვამელი ქორდა, სამარგალო!
ღმერთი იყოს ჩვენი ერის შემწე!

*პ.ს. ერთი კოლხი ძმა მყავს — ვახტანგ ხარჩილავა, ამ გაზეთის რედაქტორი, შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტი, ნამდვილი პატრიოტი, რომელსაც უსაზღვრო სიყვარულით უყვარს მთელი საქართველო, მისი ყველა კუთხე, და, მათ შორის, ცხადია, პირველყოვლისა, სამეგრელო.*

*14 ოქტომბერს, როცა სამეგრელოდან თბილისისკენ მომავალ კოლონებს ვუყურებდით, ვახტანგმა ასეთი რამ მითხრა: სირცხვილი და თავისმოჭრაა ეს... ამ საცოდაობას რომ ვუყურებ, იმდენად მრცხვენია, რომ სიცოცხლე არ მინდაო...*

*მსგავსი რამ ბევრი მეგრელისგან გავიგონე ამ დღეებში...*

*ყველაფერს რომ თვი დავანებოთ, „წკინტილის“ (როგორც მეგრელები ეძახიან, თურმე, წითლიძეს) და სხვა „წკინტილების“ ჭკუაზე როგორ უნდა ვიაროთ და რატომ უნდა ჩაავდოთ ამ მდგომარეობაში თქვენი კუთხის სასახელო შვილები, ჩემო ძვირფასო ზუგდიდელებო?*

*სამეგრელო ქართული სახელმწიფოს თანადამფუძნებელია, მისი თანაავტორია და ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც სწორედ სამეგრელო უნდა იქცეს საქართველოს ერთიანობის მთავარ ქვაკუთხედად.*





# შტრიხები მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ანატომიიდან

### მეუფეთა „ვარამი“

მაღალი იერარქიის რამდენიმე სასულიერო პირმა საპატიმროში მყოფი უკრაინის მოქალაქის მიხეილ სააკაშვილის შეწყალების და მისი გათავისუფლების პეტიციაზე მოაწერა ხელი. ისინი სწუხან, ოხრავენ და ვალალებენ და ჩვენ, ხალხს, მოგვიწოდებენ, სააკაშვილს „ვაპატიოთ, შევუნდოთ პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი „გადაცდომები“.







ეს მოწოდებები რომ მოვისმინე, გადავწყვიტე ინტერვიუს ჩაწერა, მაგრამ მივხვდი, აზრი არ აქვს მათთან ლაპარაკს, რადგან ჭეშმარიტებაა — როცა იცი, რასაც გიპასუხებენ, კითხვები არ უნდა დასვა...

დღესავით ნათელია: მაღალმა საეკლესიო პირებმაც დაკარგეს ღმერთის რწმენა და მატერიალური სარგებლის გამო შეუძლიათ უარყონ როგორც სამშობლო, ასევე ღმერთი.

სამშობლო იმ შუაშია, რომ სამშობლო არის ხალხი, სამშობლო არის მიწა, სამშობლო არის ამ მიწაზე მცხოვრები ადამიანების მომავლის რწმენა, რომელსაც ცრუ მოძღვრები ვერაგულად აცლიან ქართველ ხალხს ძირიდან, ფესვიდან, გულიდან გულგრილად, წვერ-ულვაშზე ხელის ნება-ნება ჩამოსმით და უტიფრად...

გასაგებია, რომ მეუფეების ამ მოქმედებებს შორსმიმავალი და მრავალმხრივი მიზეზები აქვს, მაგრამ, იქნებ, ვინმემ გაგვაგებინოს, ეს მეუფეები საპატრიარქოს წიაღში ისევ იმყოფებიან თუ აღარა?!

პატრიარქის კურთხევის და სინოდის გადაწყვეტილების გარეშე პატრიარქის სამწყსო, მისი „ლაშქარი“ — წმინდა სინოდის წევრები, პატრიარქის და საპატრიარქოს პოზიციებისგან განსხვავებით, ამ ქვეყნისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ტოლფას თემაზე თვითნებურად განცხადებებს როგორ აკეთებენ. ნუთუ მიაღწიეს ნაციონალებმა და მართლმადიდებლობის სხვა მტრებმა საწადელს და დაიშალა საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესია?...

მე ვიცი, სახელებით და გვარებით, პირადად, უამრავი პერსონა, საპატრიარქოში არსებულ სასულიერო და ორგანიზაციულ საკითხებში მნიშვნელოვანი ფიგურები, რომლებიც სააკაშვილის და მისი რეჟიმის მხარდამჭერები არიან.

პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიას ვერავის აუკრძალავ, მაგრამ ჩვენს წინაშე დგას ბევრად რთული და საუბედურო საკითხი: ღვთის მოყვარე, ადამიანთმოყვარე, ქრისტიან სასულიერო პირს რატომ, როგორ და რა მორალით მოსწონს „ნაცმოძრაობის“ მმართველობა, რომელიც საერთაშორისო სამართალმა რეჟიმად შეაფასა?!

გამოდის, რომ ეკლესიას თავისი მრევლი და ქვეყანა ან უდარდელად ფეხებზე ჰკიდია, ან, უფრო მეტი, ეჯავრება ის...

ეს ის მეუფეები არიან, აიფონებიანი, ჯიპიანი და ღიპიანი მღვდლები, „ნაცმოძრაობას“ პატივში რომ ჰყავდა მრევლის „მოსათვინიერებლად“.

ერთმა მეუფემ ამასწინათ რუსთავის ციხესთან საათები გაატარა: ყოფილ პრეზიდენტს ხატი და ლოცვანი უნდა შევუტანოო.

ხატი და ლოცვანი მოითხოვა „იმ“ კაცმა?

საერთოდ, ღმერთის არსებობის სწამს იმ თქვენს პატიმარს?

რა გინდათ, ბოლო-ბოლო, მეუფეებო, ხალხსაც დასცინით და რწმენასაც?!

რას ატენით ხატებს, როგორც ვირს პიტნას ცხვირში, არ უნდა იმ ადამიანს ხატი და ჯვარი და რას აძალებთ ნაკურთხ წყალს ეშმაკს, რაღას აფარებთ თავზე ოლარს?!

### „ჯაშუშების ქმარი“

მიხეილ-თავდადებული საქართველოში ჩუმად რომ შემოიპარა და სანზონაში პრეზიდენტყოფილი კაცი ტილოგადაფარებულ მაგიდაზე დაყრილ (დიახ, დაყრილ) ხინკალს და პურს (ხინკალი და პური?!) რომ ჭამდა ცომაიას სახლში, რა, თბილისში სახლი არ აქვს, თუ ღამის გასათევი, ცომაიას რომ შეეკედლა?

ნაცები და სექტანტები ამბობენ, ვაჟკაცურად შემოვიდაო.

ვაჟკაცური შემოსვლა არის ლეგალურად შემოსვლა და ღირსეულად ჩაბარება, მაგრამ ეს სხვა საკითხია; იმას მივხედოთ, მიხეილ-დაბადებიდანგადაგვარებულის შემოსვლას რომ ახალი „პეპელა“ (მცირეხნიანი „ცოლი“) რომ შემოჰყვა — ვინმე ლიზა იასკო...





მომღერალიც ყოფილა ახალი ფრეილინა, მაგრამ მშვენივრად მღეროდა ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსიც.

ყველას გვახსოვს, სამეგრელოში მეგრულად რომ იმღერა ჰოლანდიელმა ქალმა და მოხიბლა მეგრელები.

მეგრელებს სჭირთ ეს „სენი“, თორემ გურიაში რამდენიც გინდა იკრიმანჭულე, საცხა სკურიეთიდან (გურულად — დასაკარგავი) ჩამოსულს, რაც უნდა იხტუნოს და იცეკვოს, იქანა, გურიაში, ფარდაგებს ტყვილა არავინ დოუფენს...

არ ვიცი, დაფიქრებულხართ თუ არა, საერთოდ, რატომ უნდა შეესწავლა სანდრა რულოვსს მეგრული ენა, რაზე და ვისთან უნდა ელაპარაკა მეგრულად, ქმარი სააკაშვილი იყო (იყო?!), დედამთილს თუ მეგრული გვარი ჰქონდა, დედამთილის დედა წერეთელი იყო და ოჯახში მეგრულად ვის უნდა დალაპარაკებოდა, ქალბ. გიულის, რომელიც თურქულს უკეთესად ფლობს, ვიდრე მეგრულს თუ ბებიას — მზია წერეთელს ან დედამთილის მორიგ თურქ ქმარს?..

აგენტობის და სხვა ქვეყნის ჯაშუშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მე კი არა, სახელმწიფო თანამდებობის პირებს ვერ უვარდებათ ხელში და მეც, ცხადია, არ მაქვს, მაგრამ სადაც კვამლია, ის ცეცხლიც იქნება; სადაც ეჭვია, იქ სიმართლის მარცვალიცაა.

აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, მიხეილის და სანდრას ქორწინება პოლიტიკური ინტერესის საკითხი იყო. სანდრა „ჩაუდეს“ მიშას, მაგრამ მიშამ ღრმად არ „ჩაიდო“ — ხან ვისთან ღალატობდა და ხან — ვისთან...

გასულ კვირას თბილისში ქართველი მომღერალი სოფო ნიჟარაძე ჩამოვიდა ამერიკიდან შვილთან, პატარა მარიასთან ერთად.

სოციალურ ქსელში წერდნენ: კაცს იმდენმა ცოლმა ჩამოსდია საქართველოში, რომც გამოუშვან, ეგ ციხიდან გამომსვლელი აღარააო.

სანდრა (ელისაბედ) რულოვსმა შვილებთან — ედუარდთან და ნიკოლოზთან ერთად სააკაშვილი საპატიმროში მოინახულეს.

ზოგი ინფორმაციით, რუსეთის, ზოგი ინფორმაციით, დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ სააკაშვილისთვის მიგზავნილი ელისაბედ (ლიზა) იასკო კი ყველაზე დიდხანს რჩება ციხეში სააკაშვილთან, მშვიდად გამოდის გარეთ და ნაღვლიანი თვალებით გვაუწყებს: მიხეილი საბრძოლო განწყობაზეა, ის დანებებას არ აპირებსო.

ინტერნეტმასალების მიხედვით უკრაინული მედია ბოლო ხანებში აქტიურად წერს ლიზა იასკოს მამის ალექსეი ანდრეევიჩის კავშირების შესახებ რუსეთთან...

ვინ გაიგებს, კონკრეტულად ვინ ათამაშებს თოჯინასავით სააკაშვილს — ევროპა, ამერიკა, რუსეთი თუ სხვა რომელიმე ქვეყანა, მაგრამ, როცა სათამაშოდ გაიხდი თავს, მსურველი ბევრი გამოჩნდება. ქალი რომ ყოფილიყო, აქამდე კარგა ხნის ჩამოწერილი მეძავი იქნებოდა, ახლა, ცოტა ხნით, როგორც ჩანს, ისევ სჭირდებათ ხან პრეზიდენტად, ხან — გუბერნატორად, ხან ქართველ, ხან უკრაინელ რევოლუციონერად დანიშნული სააკაშვილი, რომელიც, სინამდვილეში, თავის ძირითად თანამდებობას — „ჯაშუშების ქმრობას“, მიიჩვია, და თავს არ ანებებებს...

### მიშას ჰარამხანა

სანდრა რულოვსის, სოფიო ნიჟარაძისა და ლიზა იასკოს გარდა სააკაშვილს თავისი მამაკაცურობის დამტკიცება ზოგჯერ თავისი, ზოგჯერ — ქალბატონების დაჟინებული სურვილით, როგორც ჩანს, ბევრჯერ მოუხდა, თუმცა, ამბობენ, რომ ამ საქმეში დიდად თავი ვერ გამოუჩენია...

როგორც წესი, სექსუალურად არცთუ ძლიერი მამაკაცების თვისებაა პარტნიორების სტიქიური ცვლა.

არც ამაში ვარგებულა ეს გაჭირვებული.

მისი პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე გახმაურებული რომანი მიხეილს ალანა გაგლოევასთან ჰქონია. როგორც ამბობენ, ასევე, საქართველოს საგრეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, სამინისტროს ოფიციალურ პრეს-სპიკერთან ნინო კალანდაძესთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ვერა ქობალიასთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან ხათუნა კალმახელიძესთან, საქართველოს პარლამენტის დეპუტატ მარიამ საჯაიასთან, პიანისტ ხატია ბუნიათიშვილთან, მისი შვილის, ედუარდის კლასელ ტრანსგენდერ ქალთან ალექსანდრასთან, იულია ტიმოშენკოსთან მის „გიჟურ“ რომანზე უკრაინის ტელევიზიამ ფილმიც კი გადაიღო, ამ ჩამონათვალში საპატიო ადგილს იკავებენ მოდელი და მომღერალი ივანა მელაი, ქსენია სობჩაკი და ქართული „ბომონდის“ სხვა წარმომადგენლებიც.





ჩამონათვალი იმიტომ გავიხსენე, რომ მზად ვიყოთ მაინც, ამ ტვინშერყეულის უკანონო შვილებისა და ცოლების რიგები რომ დაგვიდგეს...

კაცმა რომ თქვას, არავის არ აინტერესებს, რა ხდება სხვის ლოგინში, მაგრამ ადამიანი, რომელიც ღალატობს ერთ ქალს, მეორეს, მესამეს... ადამიანი, რომელიც ღალატობს მისი ორი შვილის დედას, ანუ ღალატობს ოჯახს, რომელიც მისთვის წმინდა კი არა, იოლად გასამეტებელი, ახალ-ახალ ქალბატონებზე გასაცვლელი „ტავარია“, იმ კაცს რაში უნდა ენდო, რა საქმეში გამოდგება კაცი, რომელიც თავის სატრფო ქალებს ქვეყნის საკვანძო თანამდებობებზე ნიშნავს ერთი ღამის საფასურად და ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე აცხოვრებს. მით უმეტეს, რომ, როცა პრეზიდენტი გახდა, ქვეყანა კუდის რიკამდე იყო გაძარცვული და ვალებისკენ ხელგაწვდილი, დაჩოქებული, ომგამოვლილი ითხოვდა სულის ჩაბერვას ფინანსური დონორებისგან.

როგორ უნდა ენდო და რა სიკეთეს უნდა მოელოდე მოღალატე კაცისგან, რომელმაც არა მხოლოდ ოჯახი და ნებისმიერი სხვა ქალი გაცვალა, არამედ უღალატა თავის კლასელებს, უღალატა და გაამწარა დედა, გამზრდელი ბებია, უღალატა მეგობრებს არაერთხელ (დარწმუნებული ვარ, არც ერთი თანამებრძოლი არ ენდობა), როგორც ამბობენ, მეგობარი და თანამებრძოლი ზურაბ ჟვანია მან გაიმეტა სასიკვდილოდ...



როგორ უნდა ენდო კაცის ფიგურის მქონე არსებას, რომელმაც უღალატა ქვეყანას, სადაც დაიბადა, გაყიდა ცხინვალის და კოდორის მიწა, დაბოლოს, უარი თქვა იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომლის პრეზიდენტი, მთავარსარდალი და მეთაური იყო ორი ვადით...

### „პიჯაკების საქმე“

საზოგადოდ, კაცი (და ქალიც) ზნეობიდან იწყება. ზნეობა და მორალი არის ბაზისი, რომელზეც შენდება ადამიანის მთელი მოღვაწეობა, მაგრამ სააკაშვილს ამის გამო არ აქვს მისჯილი ექვსი წელი.

ეტყობა, ამიტომ აძახებენ მართლმსაჯულებას ნაციონალები და მათი მხარდამჭერები — პრეზიდენტი კაცი „პიჯაკების საქმეზე“, ორი პიჯაკის შეძენის გამო, გაასამართლესო.

ეს „ორი“ პიჯაკი, სინამდვილეში, არის სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივად, პირადი სარგებლობისთვის დახარჯული თანხების ნუსხის ნაწილი: კერძოდ: 673 260 ლარი — კოსმეტიკური მომსახურებისთვის, 191 643 ლარი — ესპანელი მზარეულის დაქირავებისთვის, 75 181 ლარი — სტილისტ ალი კამალის მომსახურებისთვის, 6 342 ლარი — სასტუმროს ხარჯები მარიამ საჯაიასთვის, 6 401 ლარი — სასტუმროს ხარჯები ალანა გაგლოევასთვის, 15 873 ლარი — ქრისტინა და ნატალია უსოვების სასტუმროს და მგზავრობის ხარჯებისთვის, 38 247 ლარი — ვერა ქობალიას ოჯახის საჭიროებებისთვის, 5 430 ლარი — სოფო ნიჟარაძის სასტუმროსა და საჩუქრებისთვის, 503 383 ლარი — სააკაშვილისთვის ავიალაინერის დაქირავება პირადი მიზნებისთვის, 45 214 ლარი — სააკაშვილისთვის ლიმუზინის დაქირავება ქალაქ ვერონაში, 35 550 ლარი — ველოსიპედის დაქირავებისთვის 3 წლის მანძილზე, 25 237 ლარი — პიზაში იახტის დასაქირავებლად, 49 499 ლარი — 7 პიჯაკისა და ერთი ქაშმირის სპორტული პალტოსთვის, 7 994 ლარი — ხელით ნაკეთი ორი პიჯაკისთვის, 53 284 ლარი — 10 ცალი მაჯის საათისთვის, 15 989 ლარი — ლონდონელი მხატვრის შიშველი მკერდით შესრულებული ნახატისთვის, 57 000 ლარი — სააკაშვილის შვილების სწავლის გადასახადებისთვის, 127 858 ლარი — ტაილანდში სააკაშვილის, ვარშალომიძის და ბაქრაძის ორი დღის მგზავრობის, სასტუმროსა და კვებისთვის. სულ — 8 მილიონ 827 461 ლარი.

ეს გახლავთ ე. წ. „პიჯაკების“ საქმის“ არსის ნაწილი.

ასეთი „პიჯაკების ფული“ რამდენი ექნება გახარჯული ეკონომიკურ პრობლემებისგან წელში მოხრილი ჩვენი მოქალაქეების, იმ მოქალაქეების ჯიბეებიდან მოპარული, რომლებიც 14 ოქტომბერს მიშას თავისუფლებას გაჰყვიროდნენ თავისუფლების მოედანზე?..

### მიშას „ორეული“

„ხალხო და თქვენ გგონიათ მიშა სააკაშვილია ის ვინც დატუსაღებულია?! როგორი გულუბრყვილოები ხართ. კლონია ციხეში, იალაღზეა მიშა. ოღონდ სხვა სახით და სხვა პასპორტით! სხვა რაკურსიდან ყველაფერი ნათლად ჩანს.

ფრთხილად მოკეთენო ფრთხილად!!! ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩანს ცნობიერი თვალით“.

ეს პოსტი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში სააკაშვილის ერთმა თაყვანისმცემელმა.

აქვთ ერთი დარიდური, დაჰკა დოლი და გაწელე გარმონი — ეს არაა მიშა, მიშა მალე ჩამოვა და „გაგვათავისუფლებსო“...

მიშა კი არა, ეგზორციზმიც ვერ გაათავისუფლებს ამათ შეშლილობისგან — შავი ზეწარი რომ გადააფარო და შეულოცო, მაინც გიჟებად დარჩებიან...

ამდენ პაციენტს უპატრონოდ რომ ხედავს, ცხონებული ავლიპ ზურაბიშვილი ბრუნავს, ალბათ, საფლავში...

### ვინ არის რუსთავის მე-12 ციხის ტუსაღი?

არაერთხელ გამოქვეყნებულა „საერთო გაზეთში“, ბევრჯერ დამიწერია პირადად მეც, რა „საგმირო“ საქმეები ჩაიდინა სააკაშვილმა საქართველოში და რომ არ დაგვავიწყდეს, ვინ გვიზის რუსთავის მე-12 საპყრობილეში, ვინ ითხოვს თბილ ლეიბებს, ვინ ჭამს უზომოდ თაფლს და ვინ ამუნათებს თავისნაირ უსინდისო და მოღალატეთა ხროვას — გამარჯვება წინ არისო.

იხილეთ სააკაშვილის საგმირო საქმეთა მცირე ჩამონათვალი:

2003 წელს მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა სახელმწიფო გადატრიალება.

2005 წელს ჰუჯაბის კომპლექსი გადასცა სომხეთს.

2006 წელს წითელი ხიდი გადასცა აზერბაიჯანს.

2008 წელს კოდორი და ახალგორი გადასცა რუსებს.

2009 წელს გარეჯის ნაწილი გადასცა აზერბაიჯანს.

2012 წელს უკანონოდ, ერთ დღეში, 28000 თურქს მისცა მოქალაქეობა. რის შემდეგაც, 31 ოქტომბერს შემოხაზეს ხუთიანი. ბათუმში თანდათანობით შეიცვალა დემოგრაფიულ-ეთნიკურ-რელიგიური მდგომარეობა თურქების სასარგებლოდ, დროის უმოკლეს პერიოდში.

რუსულ კომპანიებს მიჰყიდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიმდიდრეები და სახელმწიფო ბიუჯეტის გამაძლიერებელი სტრატეგიული ობიექტები:

1. ენგურჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“;
2. ჟინვალჰესი — რუსული კომპანია „რაოესი“;
3. რიონჰესი — რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“;
4. გუმათი 1- რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
5. გუმათი 2 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
6. ლაჯანურჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
7. შაორჰესი — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
8. ვარციხე1 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
9. ვარციხე 2 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
10. ვარციხე 3 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;



11. ვარციხე 4 — რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
12. ხრამი 1 — რუსული კომპანია „რაოესი“;
13. ხრამი 2 — რუსული კომპანია „რაოესი“;
14. ხრამი 3 — რუსული კომპანია „რაოესი“;
15. ხრამი 4 — რუსული კომპანია „რაოესი“;
16. ხრამი 5 — რუსული კომპანია „რაოესი“;
17. ყაზტრანსგაზ თბილისი — რუსული კომპანია „გაზპრომი“;
18. გაზ.კომპანია „იტერა“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;
19. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;
20. გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
21. გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
22. მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოვატიანი ხაზები — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
23. „მადნეული“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
24. „კვარციტი“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
25. საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“.
26. კომპანია „ბილაინი“ — რუსული კომპანია;
27. „აზოტი“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
28. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ — რუსული კომპანია „ვითიბი“;
29. „ლუკოილ ჯორჯია“ — რუსული კომპანია „ლუკოილი“;
30. ზესტაფონის „ფერო“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
31. ელმავალმშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია ”დემა კომპიუტერი”;
32. არამიანცის, თბილისის 3№ 1 საავადმყოფო — რუსული კომპანია „ბატუსი“
33. თბილისის წყალი — რუსული კომპანია „რჯიან უოთერ ენდ პაუერი“

თურქული ბაღებით, სკოლებით და ინსტიტუტებით გაავსო ქვეყანა. პარალელურად, აკრძალა „დედაენის“ სწავლება.

ებრძოდა ეკლესიას, პატრიარქს. დასცინოდნენ წმინდანებს. სინოდის სხდომას ესწრებოდნენ უშიშროების წარმომადგენლები.

დაპატიმრებული ჰყავდა არაერთი უდანაშაულო მღვდელი.

ჯავახიშვილის უნივერსტიტეტიდან გაყარა პროფესორები, უწოდა ჩარეცხილები, გააუქმა კვლევითი ინსტიტუტები, მოსპო მეცნიერებათა აკადემია.

დააწესა ადამიანების ასაკობრივი დისკრიმინაცია.

7 ნოემბერს და 26 მაისს სასტიკად დაარბია და გაუსწორდა საკუთარ მოსახლეობას, ეს იყო უმძიმესი სანახავი: ქართველი კაცები დაბორკილები მიწაზე ეყარნენ და მათ ნიღბიანი ზონდერები ხელკეტებს უმოწყალოდ ურტყამდნენ.

სტრასბურგში გაგზავნილი 118 საჩივრიდან, 98 გაამართლა ევროპულმა სასამართლომ.

ევროსასამართლომ სააკაშვილის მმართველობა დამნაშავე რეჟიმად ცნო.

ქვეყანაში იყო 32 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი.

პატიმრებს წამებით კლავდნენ.

„ნაცმოძრაობის“ მმართველობისას ციხეებში დააინვალიდეს ასეულობით პატიმარი, 745 პატიმარი გარდაიცვალა.

ქუჩაში დახვრიტეს 151 ადამიანი.

მოკლეს გურამ შარაძე, ადმირალი ირემაძე, გენერალი კეკუა, პატარკაციშვილი, ჟვანია, თეთრაძე, შავაძე, კრიალაშვილი, დუმბაძე, თელია, ცინდელიანი და სხვები და სხვები. კობა დავითაშვილს სასტიკად სცემეს, რის გამოც განუკურნებელი დავადება განუვითარდა და გარდაიცვალა, საპროტესტო აქციაზე გია მაისაშვილს თავში მოახვედრეს რეზინის ტყვია, რის შედეგადაც თავის ტვინის სიმსივნით დაავადდა და გარდაიცვალა.

წამების და არაადამიანური მოპყრობის 20 000 ფაილი სამეგრელოს ე. წ. კასრებში იპოვეს.

ქუთაისში ააფეთქეს „დიდების მემორიალი“, რასაც დედა და 9 წლის გოგონა შეეწირა.

ამოწყვიტეს აფრასიძეების ოჯახი.

დააწესეს სასჯელის შეკრებითობა, ადამიანებს უსჯიდნენ 20,25,30,35 წელს, ფაქტობრივად, სიკვდილს (დღეს ეს გაუქმებულია).

წაართვეს ბიზნესი და ქონება ასეულობით ადამიანს. საზღვარი გაუხსნეს აფრო-აზიელ მიგრანტებს, გამიზნულად ცვლიდნენ დემოგრაფიას, გაანადგურეს განათლების და კულტურის სისტემები.

კანონმდებლობიდან ამოიღეს სამშობლოს ღალატზე და ცილისწამებაზე დაკისრებული მუხლები.

2008 წლის აგვისტოში დღენახევარში წააგო ომი, გორში ისე გარბოდა სამარცხვინოდ, დაცვა ვერ ეწეოდა.

მსოფლიოს არ ახსოვს მსგავსი ფაქტი, ორჯერ პრეზიდენტად არჩეულს უარი ეთქვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე.

„რუსი ოკუპანტიას“ ძახილით მთელი ეკონომიკა და ქვეყნის ძირითადი სტრატეგიული ობიექტები გადასცა რუსებს. გრიგოლ ვაშაძე, კობა ნაყოფია, ხოშტარია, ბენდუქიძე, რუსეთის მოქალაქეები ჰყავდა მინისტრებად.

გაეროში აღიარა ომი ჩვენ დავიწყეთო, კასეტური ბომბები ვისროლეთ ცხინვალის ომშიო.

უარი თქვა, ოკუპირებული რეგიონების საკითხი ეუთოს და გაეროს გადაეწყვიტა. ამას თავად ნიკოლა სარკოზი წერდა, რითიც რუსებს პირდაპირ აღიარებისკენ უბიძგა.

ქვეყანას დაუმალა, რომ კაპიტულაციის აქტზე მოაწერა ხელი.

სოხუმი არასოდეს იყო ჩვენიო, არაერთ გამოსვლაში თქვა.

არის ფსიქიკურად დაავადებული. ამაზე წერენ ცნობილი პოლიტიკოსები და ფსიქიატრები. ამის დასტურია მისი არეული, ისტერიული, ბლუყუნით ლაპარაკი.

ეს ადამიანი შემოიპარა იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, ამდენი გამწარებული, ამდენი წამებით მოკლული და შეურაცხყოფილი ოჯახი ჰყავს...




ეს კაცი კიდევ და კიდევ ამცირებს და შეურაცხყოფს ქართველ ხალხს, თითქოს აქ ბრმების და ჭკუასუსტების ქვეყანა იყოს...

ერო და ხალხო, ამ დორბლიანს და სახელმწიფო დამნაშავეს ერის შეურაცხყოფა და ამდენი კრიმინალი როგორ უნდა ეპატიოს?!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „მე ამ ხალხს არ მივესალმები და ხელს არ ჩამოვართმევ“!



გთავაზობთ იმ ადამიანების სიას, რომლებზეც დიდმა მაესტრომ რობერტ სტურუამ თქვა: მე ამ ხალხს არ მივესალმები და ხელს არ ჩამოვართმევო.

ეს ადამიანები ერთ დროს ერთგულად ემსახურებოდნენ „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმს.

ამგვარ ზნეობრივ კომპრომისზე წასულები, ქვეცნობიერად თავად გახდნენ ფაშისტი-კრიმინალები და დიდად არ განსხვავდებიან იმ ზონდერისგან, რომელიც ხელკეტს ურტყამდა, აწამებდა და ტყვიას უშენდა უდანაშაულო ადამიანებს.

ვის სჭირდება ის ხელოვნება, იმ ადამიანის მოღვაწეობა, რომელსაც მეორე, სხვა ადამიანის მიმართ თანაგრძნობა, სოლიდარობა, თანამემამულეობის განცდა არ აქვს.

როგორც არ უნდა შეალამაზო და შეფუთო, ეს არის მწარე სიმართლე და ეს თქვა სწორედ ბატონმა რობერტმაც.

ამ სიაში მეტნაკლებად ნიჭიერი ადამიანების გვარ-სახელებსაც აღმოაჩენ, მაგრამ ნიჭიერება, რომელიც ბოროტებას ემსახურება, ბოროტებაა და არა ხელოვნება, რომელიც სულის წამალია ხანდახან.

### მაშ, ასე, იხილეთ სია:

გელა ჩარკვიანი
დემნა გვასალია
ბუბა კიკაბიძე
ნანი ბრეგვაძე
ნინო ანანიაშვილი
ეკა მამალაძე
ნინო სუხიშვილი
ილიკო სუხიშვილი
პაატა ბურჭულაძე
თამარ ჭოხონელიძე
ნინო ქათამაძე
ეპისკოპოსი მელქისედეკი
მიტროპოლიტი ნიკოლოზი
ბექა გოჩიაშვილი
ბაკურ სულაკაური
გია ბუღაძე
ნიაზ დიასამიძე
მარინა ბერიძე
ნუცა კუხიანიძე
ბუბა კუდავა
მიტროპოლიტი იოსები
გია ნოდია
ლიზა ბათიაშვილი
ნანა გეგეჭკორი
ზურა გურული
გიგი თევზაძე
ნიკა გვარამია
ლაშა ბუღაძე
ტორესა მოსი
კოტე ყუბანეიშვილი
ნენე კვინიკაძე
რატი ამაღლობელი
ლევან წულაძე
მანანა კაზაკოვა
ნანუკა ჟორჟოლიანი
ნინო ჩხეიძე
გიორგი სუხიტაშვილი
მაია დარსმელიძე
ბაია დვალიშვილი
დავით დოიაშვილი
თეონა დოლიძე
სტეფანე
ლელა წურწუმია
ეკა კვესიტაძე
თეა დარჩია
ლევან ბერძენიშვილი
რუსუდან ფეტვიაშვილი
ნოდიკო ტატიშვილი
ნინო დარასელია
ოლეგ ტიმჩენკო
სიმონიკო მაჩაბელი
ნინო ქათამაძე
ვახო ბაბუნაშვილი
აჩიკო გულედანი
გიორგი რურუა
გიორგი ლიფონავა
გიორგი უშიკიშვილი
გიორგი გაბუნია
ქეთი ბაქრაძე
გია თორილაძე
ნუგზარ მეტრეველი
ზურა დათუნაშვილი
მეუფე გრიგოლი
ეკა დემეტრაძე
სანდრო კაკულია
ილია ბეროშვილი

ქვემორე ხელის მომწერებო, ერთი კეთილი კაცის ქველმოქმედებით გაძეხით და ახლა, სხვაგან გროვდებით მძორისმჭამელი ცხოველების ხროვასავით?

გული არ გაქვთ!

სინდისი არ გაქვთ!

სისხლი არ გაქვთ!

ბოდიში და, ტვინიც არ გაქვთ?!

სულგამოცლილი ზომბები ხართ და თქვენ შექმნილ ხელოვნებას ჩალის ფასი აქვს!..

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

















# „ვარესი“

— ნარკომანი არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. ნარკოტიკების მოხმარების გარეშეც ნარკომანს ჰგავხართ?!

— გიჟი არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. ჭკვიანი ხართ და იმდენი სიგიჟე გაქვთ ჩადენილი, გიჟი ჰგონიხართ?!

— ქურდი არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. ამდენი ქონება, ამდენი სახლი და სასახლეები ქურდებმა „ჩაგიდეს“?!

— მკვლელი არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. ეს ამდენი გვამი მკვლელებმა მოგიყარეს კარებთან?!

— მოღალატე არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. სხვები ღალატობდნენ ამ ქვეყანას და თქვენ გაბრალებდნენ?!

— გამყიდველი არ ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ე.ი. სხვები ყიდიდნენ საქართველოს და თქვენ წილს არ გაძლევდნენ?!

— მე ქართველი ვარ! — აცხადებს სააკაშვილი.

მთლად უარესი — ქართველი იყავით და თქვენი ქართველობა უკრაინის მოქალაქეობაზე გაცვალეთ?!

ქალაქის „საველე“ ტუალეტის კარებზე ამოკითხული:

მოფსმა — 20 თეთრი

ვარესი — 40 თეთრი

რა სულ „ვარეს“ და „ვარეს“ ამბებში ტრიალებთ თქვენ, პატივცემულო მიშა, რა გჭირთ, ვინ დაგწყევლათ ასე?

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ: 593 78 64 69



**— ჩემი ქალიშვილი 2021 წლის ივნისის თვეში გათხოვდა. ისინი განქორწინებას აპირებენ. ეკუთვნის თუ არა ჩემს ქალიშვილს ქმრის ქონებიდან წილი?**

— რამდენადაც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, ახლადსეუღლებულებს ქორწინების განმავლობაში ერთობლივად არაფერი შეუძენიათ, ასევე, სახლ-კარი, რომელზედაც პრეტენზია გაუჩნდა რძალს, ირიცხება არა მეუღლის, არამედ, მისი მშობლების საკუთრებაში. შესაბამისად, თქვენი ქალიშვილი განქორწინების შემდეგ ვერაფერს მიიღებს. აქვე დავძენ, რომ ქონება, თუ ერთად ცხოვრების მანძილზე არ იქნა შეძენილი / იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება მხოლოდ-დამხოლოდ!/თუნდაც, რიცხული ყოფილიყო მეუღლის საკუთრებაში, გაყოფას მაინც ვერ დაექვემდებარებოდა. ასევე, ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ თქვენი ქალიშვილი არც ფეხმძიმედაა, მომავალ შვილთან დაკავშირებით რომ გარკვეული თემები განგვეხილა.

* * *

**— მინდა, ჩემი სახლისა და ნაკვეთის ნახევარი ახლობელს ვაჩუქო, ოღონდ, არსებობს ერთი პრობლემა: ჩემი ახლობელი სოციალურად დაუცველი პირია. მაქვს ასეთი შეკითხვა: ჩუქების შემთხვევაში მოეხსნება თუ არა სოციალური დახმარება, ან მირჩიეთ, როგორ ვაჩუქო ისე, რომ მას პრობლემები არ შეექმნეს სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით?**

— ეს არის შეკითხვა, რომელზედაც მხოლოდ სამართლებრივი პასუხის გაცემა შემიძლია. სავარაუდოდ, შეიძლება მოეხსნას ქონების დაფიქსირების შემთხვევაში თქვენს ახლობელს სოციალური დახმარება. როგორც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, სასაჩუქრე ქონება არაა მიზერული ოდენობის. შესაბამისად, სარეიტინგო ქულები არ დარჩება იმ ოდენობის, რომ სოციალური შეღავათები დარჩეს. თუმცა, მე დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან საბოლოოდ, ეს შესაბამისმა კომისიამ, საკითხის შესწავლის შემდეგ, უნდა გადაგიწყვიტოთ. თქვენი შეკითხვის მეორე ნახევართან დაკავშირებით, მე ვერაფერს გირჩევთ, რადგან უძრავი ქონების ჩუქება დარეგისტრირების გარეშე ვერ ჩაითვლება რეალურ ჩუქებად. ამასთან, ვიმეორებ, მე მხოლოდ სამართლებრივი პასუხების გაცემა შემიძლია.

* * *

**— ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?**

— თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა და სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

**— ბუნებრივია, ვიცი, რომ მაქვს თანხის გასესხების უფლება. მე მაინტერესებს, თანხის გასესხებას პროცენტით თუ ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა. ანუ, შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?**

— დიახ, შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625- მუხლი: პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

**— მაინტერესებს პირადი არაქონებრივი უფლებების თემა.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, მე-18 1 და მე-19 მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად.

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და



ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 181. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება

1. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.

3. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება.

მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

* * *

**— მაინტერესებს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადები.**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავი მთლიანად ეძღვნება ხანდაზმულობის თემას.

128-3 მუხლის მე-3 ნაწილი:ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს / მაგალითად, სესხის ხელშეკრულება/, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

* * *

**— როგორ არის დარეგულირებული კანონის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის საკითხი?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-89-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

4. არასრულწლოვნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას პატიმრობის დაწესებულება და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შეუფერხებელ კონტაქტს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

# სალვადორში ბიტკოინი სახელმწიფო ვალუტად გამოცხადდა



პატარა ლათინოამერიკული ქვეყანა მსოფლიო საფინანსო რევოლუციის სათავეში მოექცა, მან ბიტკოინი სახელმწიფო ვალუტად გამოაცხადა. ახლა სალვადორის მცხოვრებლები ყავის ფულს უკვე კრიპტოვალუტით გადაიხდიან. ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობს, რომ ბიტკოინზე გადასვლა ეკონომიკას ძლიერ იმპულსს მისცემს. სკეპტიკოსები კი, როგორებიც არიან მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, დარწმუნებული არიან, რომ ასეთი სარისკო ნაბიჯი სახელმწიფოს დამატებით საფრთხეებს შეუქმნის. სალვადორის მთავრობამ არც მოსახლეობის აზრი გაითვალისწინა და მრავალრიცხოვანი პროტესტებისა და საზოგადოებრივი აზრის იგნორირება მოახდინეს.

**დიდი იმედები.** სალვადორამდე ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ გაბედა ბიტკოინი გადახდის კანონიერ საშუალებად გამოეცხადებინა. ახლა უკვე ყველა ორგანიზაცია ვალდებულია მიიღოს კრიპტოვალუტა, მისი საშუალებით უნდა გადაიხადონ გადასახადები, მოსახლეობას კი სპეციალურ საფულეებს გაუხსნიან. ქვეყნის მთავრობამ უკვე 26 მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინი შეიძინა და მომავალში კიდევ აპირებს მათ ყიდვას.

ბიტკოინ-ქსელის სრულუფლებიანი წევრობისთვის მოქალაქეებმა მხოლოდ დანართი Chivo-ს გადაწერა სჭირდება. რეგისტრაციის შემდეგ მოქალაქე პირად საფულეს გახსნის, სადაც ბონუსი — 30 დოლარი დევს. ხელისუფლება 200 სპეციალური ბანკომატის დამონტაჟებას და მომსახურების 50 განყოფილების გახსნას აპირებს.

კანონის თანახმად, ბიტკოინის დოლართან მიმართებას თავისუფლად ადგენს ბაზარი, გაცვლა კაპიტალის მოგებაზე გადასახადს არ ითვალისწინებს, კონვერტაციის დროს საკომისიოს გადახდას მთავრობა საკუთარ თავზე იღებს. ამასთან, კანონში არ წერია, გათვალისწინებულია თუ არა რაიმე სახის სასჯელი წესების დაუცველობის შემთხვევაში. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბიტკოინის გამოყენება სავალდებულო არ არის. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება დოლართან ერთად, რადგან ქვეყანას საკუთარი ვალუტა არ გააჩნია — 2004 წელს ეროვნული ვალუტა ბრუნვიდან ამოიღეს და ახლა ქვეყანაში გადახდის საშუალება აშშ-ის დოლარია. საკუთარ ვალუტაზე უარის თქმის მიზეზი მაღალი ინფლაცია, კურსის მკვეთრი ცვლილება და მთლიანად ეკონომიკაში არსებული სისტემური პრობლემები გახდა.

ეკონომიკის გადარჩენის მიზნით კრიპტოვალუტის გამოყენებას დაჟინებით მოითხოვს ქვეყნის პრეზიდენტი ნაიიბ ბუკელე. მას სჯერა, რომ ბიტკოინი დაეხმარება მილიონობით ადამიანს ცხოვრების გაუმჯობესებაში მაშინ, როცა სალვადორის მოსახლეობის 70 პროცენტს საბანკო ანგარიში არ გააჩნია, ხოლო 34% ინტერნეტით არ სარგებლობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორშია დასაქმებული. მის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა — სალვადორი ითვლება სამხრეთ ამერიკიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ნარკოტიკების ტრანსპორტირების შუალედურ პუნქტად. საშუალოდ, წელიწადში, სალვადორზე დაახლოებით 5 ტონა კოკაინი გადის.

სალვადორის ერთიანი შიდა პროდუქტის 24 პროცენტს მოსახლეობის მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულადი გადახდები შეადგენს. ქვეყანა ძლიერ არის დამოკიდებული საზღვარგარეთიდან შემოდინებულ თანხებზე. სამუშაო მიგრანტების შემოსავლები სალვადორის ეშპ-ის 24 პროცენტს, ანუ 6 მლრდ დოლარს შეადგენს. ქვეყანაში ყველა გზავნილზე საკომისიოს სახით ქვეყანა წელიწადში 170-დან 400 მილიონ დოლარამდე კარგავს. ბიტკოინი ამ პრობლემას გადაჭრის. „ფინანსური ინკლუზიურობა — ეს არა მხოლოდ მორალური ვალია, არამედ ეკონომიკის გამოცოცხლების, კრედიტების, დანაზოგების, ინვესტიციებისა და ტრანზაქციების წვდომის საშუალება“, — ამბობს ქვეყნის 40 წლის მმართველი, რომელსაც პრეზიდენტი-მილენიალი შეარქვეს.

საკუთარი ვალუტის არქონის გამო სალვადორი მთლიანად არის დამოკიდებული ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ექსპერტების თქმით, ბიტკოინის ოფიციალურ საგადასახადო საშუალებად შემოტანა სალვადორის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, მოსახლეობას შესთავაზოს დოლარის ალტერნატივა და შეამციროს ის რისკები, რასაც ქვეყნის ეკონომიკა საკუთარ თავზე იღებს.

საკუთარი ვალუტის არქონის გამო სალვადორი მთლიანად არის დამოკიდებული ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ექსპერტების თქმით, ბიტკოინის ოფიციალურ საგადასახადო საშუალებად შემოტანა სალვადორის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, მოსახლეობას შესთავაზოს დოლარის ალტერნატივა და შეამციროს ის რისკები, რასაც ქვეყნის ეკონომიკა საკუთარ თავზე იღებს.












მათივე თქმით, პერსპექტივაში, სალვადორი შეიძლება კრიტპოვალუტის ოფშორად გადაიქცეს. წარმოიქმნება საკურსო სხვაობა და სავალუტო რისკები ეკონომიკური სუბიექტების ხარჯზე.

**საშიში არასტაბილურობა.** ბიტკოინის ძირითადი პრობლემა ცვალებადობაა. კანონის მიღებიდან მეორე დღეს ბიტკოინის კურსი დაეცა და სალვადორმა 3 მილიონი დოლარი იზარალა. ბუკელემ და მისმა მომხრეებმა ამაში მსოფლიო სავალუტო ფონდი დაადანაშაულეს.

მოსახლეობამ ხელისუფლების ოპტიმიზმი ბიტკოინის პერსპექტივებთან დაკავშირებით არ გაიზიარა, თუმცა პრეზიდენტს ბევრი მომხრე ჰყავს. კანონის მიღებამდე დედაქალაქში — სან-სალვადორში კრიპტოვალუტის საწინააღმდეგო აქციები გაიმართა. მოქალაქეებს ეშინიათ, რომ ბიტკოინის შემოღება გაზრდის კორუფციის დონეს, ბევრს კი ეშინოდა, რომ ახლა პენსიების არასტაბილურ ვალუტაში მიღება მოუწევთ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ბიტკოინის აღიარება ოფიციალურ ვალუტად საშიშად მიიჩნია. ფონდში ამბობდნენ, რომ სახელმწიფო რისკავს, რომ ამით ქვეყანაში არასტაბილურ ფასებს მიიღებს. გარდა ამისა, ეს შეუძლებელს გახდის ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას.

კრიპტოვალუტის სახელმწიფო ვალუტად ქცევა სალვადორს იმ სესხის აღებაშიც შეუშლის ხელს, რომლის მიღებაც ფონდისგან უნდა.

თავის მხრივ, მსოფლიო ბანკი აღნიშნავდა, რომ თავისთავად კრიპტოვალუტა გაუმჭვირვალეა და მისი სახელმწიფო დონეზე გამოყენებაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია ვერ დაეხმარება და უარი უთხრა მის დანერგვაში. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის პროფესორის სტივ ხანკეს აზრით, ამერიკულ დოლარებს ქვეყნიდან გაიტანენ ბიტკოინად კონვერტაციის დროს. გამონაკლისი გახდა ეკონომიკური მიგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი, რომელმაც მხარი დაუჭირა სალვადორის ინიციატივას და დაეხმარა კრიპტოვალუტის დანერგვაში. სალვადორის გარდა, კრიპტოვალუტის სჯერათ არგენტინას, ბელიზს, გვატემალას, ჰონდურასს, დომინიკის რესპუბლიკას, ესპანეთს, კოლუმბიას, კოსტა-რიკას, კუბას, მექსიკას, ნიკარაგუას, პანამას, ტაივანსა და სამხრეთ კორეას.

**მკაცრი კონტროლი.** კრიპტოვალუტის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ მსოფლიოში ერთიანი აზრი არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში მისი რეგულირება არ ხდება, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება არ კრძალავს ციფრული ფულის შენახვას და ვაჭრობას. პორტალ Coin Dance-ს კვლევების მიხედვით, ბიტკოინი ლეგალურია, მინიმუმ 111 ქვეყანაში. თუმცა ზოგიერთი სახელმწიფო სერიოზულად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ შეუძლებელია კრიპტობაზრის კონტროლი, სხვებზე მეტად ეს საკითხი მსიფლიო ეკონომიკის მოწინავე ქვეყნებს — აშშ-სა და ჩინეთს აწუხებს.



მაგალითად, ამერიკის ხელისუფლებამ დააპირა კრიპტობაზრის დაქვემდებარება, მაგრამ კანონში ამ სფეროს რეგულირების მკაფიო ნორმები არ არსებობს. ამჟამად ბიტკოინი ქვეყანაში არა ვალუტად, არამედ ქონებად ითვლება. ასე რომ, კრიპტოვალუტით შესრულებული ოპერაცია კვალიფიცირდება, როგორც კაპიტალის ნამატისგან მიღებული შემოსავალი.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დარწმუნებულია, რომ ციფრულ აქტივებში ინვესტირება კატასტროფამდე მიიყვანს ქვეყანას და დოლარს დიდ ზიანს მოუტანს. პრეზიდენტობის დროს ტრამპს გადაწყვეტილი ჰქონდა ბიტკოინის და სხვა კრიპტოვალუტის გაუქმება და ვაჭრობა.

მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკამ — ჩინეთმა ბიტკოინის წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ჩინეთის მთავრობა კრიპტოვალუტას სპეკულაციურ აქტივად და საფინანსო სისტემის საფრთხედ მიიჩნევს. 2012 წლის მაისიდან ქვეყანაში აკრძალულია ციფრულ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება.

თურქეთში კრიპტოვალუტა საერთოდ აკრძალულია — მათი გამოყენება შენაძენებისა და მომსახურების საფასურის გადახდის საშუალებად დაუშვებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. თურქეთის ცენტრალურ ბანკში განმარტეს, რომ კრიპტოვალუტა დიდი რისკის მატარებელია და მისი რეგულირება შეუძლებელია. გარდა ამისა, კრიტპოვალუტის ღირებულება ძალიან ცვალებადია, ანონიმურია და შესაძლოა, გამოყენებული იყოს არაკანონიერი ქმედებებისთვის.

ბიტკოინის მიმართ უფრო ლოიალურები არიან ევროპაში, მაგრამ აქაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99